პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
23 ივნისი
1939 წ.
№ 142 (5542)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები (მოწინავე)
სსრ კავშირის სახკომსაბჭოში და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვ.)
სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაცია თბილისში (1-ლი გვ.)
ფეროშენადნობთა ქარხანამ შეასრულა ნახევარი წლის გეგმა (1-ლი გვ.)
ბ. ჟურაშვილი — უდანაკარგოდ ავილოთ უხვი მოსავალი (მე-2 გვ.)
პასუხები შეკითხვებზე (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
პატარა ფელეტონი — ამბების შემფზომი [illegible] მოლოდინში (მე-3 გვ.)
ი. როდინი — დიდების ველზე (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
ჩემბერლენის განცხადება (მე-4 გვ.)
გერმანიის კონსულის გაწვევა ლივერპულიდან (მე-4 გვ.)
გერმანელ ფაშისტთა საქმიანობა დანციგში (მე-4 გვ.)
გერმანიის საომარი მზადება პოლონეთის საზღვარზე (მე-4 გვ.).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

„სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის“ შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

იმ მიზნით, რომ მოხდეს მშრომელთა ფართო მასების მობილიზაცია სსრ კავშირის მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის საკითხებისა და ამ ფლოტის წინაშე დასმული ამოცანების გარშემო, დაწესდეს „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე“, რომელიც ყოველწლიურად ჩატარდეს 24 ივლისს.

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი წესდება. შეიცვალა პარტიაში მიღების წინათარსებული კატეგორიები, შემოღებულია პარტიაში მიღების ერთგვარი პირობები ყველა მშრომელთათვის, გარდა იმ პირთა, რომელნიც გამოსული არიან სხვა პარტიებიდან. ახალმა წესდებამ ხელი შეუწყო პარტიის რიგების ზრდას ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანების ხარჯზე. უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინოდ იმატა პარტიაში ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღებამ. ამასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციათა წინაშე მთელი სერიოზულობით დაისვა პარტიაში ახლად მიღებულთა და კერძოდ პარტწევრობის კანდიდატთა შორის მუშაობის გაძლიერების, მათი აღზრდის საკითხი.

საკ. კ. პ. (ბ) ახალ წესდებაში სწერია: „ყველა პირი, ვისაც პარტიაში შესვლა სურს, გაივლის საკანდიდატო სტაჟს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ“.

ახალი წესდება ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს ყურადღებით მოეპყრან პარტკანდიდატთა აღზრდას, აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ მათ პარტიულ ცხოვრებაში და საზოგადოებრივ მუშაობაში, დაეხმარონ პარტიის წესდებისა და პროგრამის გაცნობაში, მუშაობის ბოლშევიკური ჩვევების დაუფლებაში. პარტორგანიზაციამ პრაქტიკულ მუშაობაში უნდა შეამოწმოს კანდიდატის პირადი თვისებები, რამდენად შეუძლია მას იყოს მოწინავე, პარტიისა და მისი ორგანოების დადგენილებათა განუხრელად განხორციელებისათვის თავდადებული მებრძოლი.

პარტიის წევრობის კანდიდატმა ენერგიული მუშაობით, პარტიულ-პოლიტიკურ და პრაქტიკულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობით უნდა უჩვენოს პარტიულ ორგანიზაციას, რომ მას შესწევს უნარი მაღლა ატაროს კომუნისტის საპატიო სახელწოდება, განახორციელოს მუშაობაში ავანგარდული როლი, რომ ის ღირსია იყოს წევრი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა. პარტიულ ორგანიზაციათა აქტიური დახმარებით პარტიაში ახალ მიღებულთაგან მრავალი ამხანაგი აღიზარდა პრაქტიკულ მუშაობაში და დაწინაურებულ იქნა პასუხსაგებ სამუშაოზე. მათ ღირსეულად გაართვეს თავი სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მუშაობის რთულ საქმეს.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს კანდიდატთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, მათ გამოწრთობას პრაქტიკულ მუშაობაში. სუსტად მუშაობენ პარტკანდიდატებთან თბილისის რკინიგზის სადგურის სავაგონო სამსახურის პარტორგანიზაციაში. აქ არ იწვევენ კანდიდატთა თათბირებს, არ ესაუბრებიან მათ. სტაჟგასულ კანდიდატებს (ასეთი რამდენიმე კაცია) არ ეხმარებიან პარტიის რიგებში წევრად მიღებისათვის მომზადებაში. 37 კანდიდატიდან პარტიული დავალება აქვს მხოლოდ 22 კაცს. მათ შორის ზოგიერთს დავალება ფორმალურად აქვს მიცემული და არავინ ამოწმებს მუშაობის ხარისხს.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის შორაპნის საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის 39 კანდიდატი ირიცხება. მათგან 23 ამხანაგს არა აქვს მიცემული პარტიული დავალება, ისინი ნაკლებად მონაწილეობენ პარტიულ მუშაობაში, პარტბიურო არ ეხმარება მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში. ასევე ნაკლებად ზრუნავს კანდიდატთა იდეურ აღზრდაზე სოფელ ეკის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია. აქ 15 კანდიდატი ირიცხება. მათგან არცერთს არა აქვს მიცემული პარტიული დავალება. პარტორგანიზაცია სუსტად ეხმარება კანდიდატებს ბოლშევიზმის გმირული ისტორიის შესწავლაში. მხოლოდ ერთხელ მოაწყეს თეორიული ხასიათის ლექცია და შემდეგ ეს საქმე აღარავის მოაგონდა.

როგორც პარტიის თვითეული წევრი, პარტკანდიდატიც მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს მუშაობაში, პირადად უნდა უჩვენებდეს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების მაგალითს. კოლმეურნეობაში კანდიდატი ყველაზე მოწინავე უნდა იყოს. ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ პარტკანდიდატებს ამხ. შ. დავლაძეს, დ. ჭურაძეს და ა. კაპანაძეს, რომელნიც ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში ირიცხებიან. მათ არცერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული. ეს ფაქტი იმითაც აიხსნება, რომ პარტორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს კანდიდატებზე. მათ მიცემული არა აქვთ პარტიული დავალებები, არ მონაწილეობენ პარტიულ ცხოვრებაში, არ იზრდებიან არც იდეურად და არც პრაქტიკულ მუშაობაში. ასეთ უზრუნველობას პარტკანდიდატების მიმართ გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო.

ცალკეული პარტორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ კანდიდატების პარტიის წევრად მიღებას, რომელთაც უკვე გაუვიდათ საკანდიდატო სტაჟი. მაგალითად, შორაპნის საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაციაში 6 ამხანაგს კარგა ხანია შეუსრულდა საკანდიდატო სტაჟი (ერთ მათგანს, ამხ. გ. სახოკიას, ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში გაუთავდა საკანდიდატო სტაჟი), მაგრამ პარტბიურო არ ეხმარება მათ პარტიაში მისაღებად მზადებაში. მსგავსი ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან პირველადმა პარტორგანიზაციებმა.

საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით. პარტია თვითეული წევრისაგან მოითხოვს, რათა იგი გულმოდგინედ მუშაობდეს თავისი იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად, ბოლშევიზმის საფუძვლების შესათვისებლად. ეს აგრეთვე შეეხებათ პარტიაში ახლად მიღებულთ, კანდიდატებს; მათ დაუღალავად უნდა იმუშაონ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების საფუძვლების გასაცნობად. ამაში მათ ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა თეორიული ხასიათის ლექციების მოწყობით, მაღალხარისხოვანი კონსულტაციებით, ამხანაგური დისკუსიების ჩატარებით და სხვ.

პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ პარტიაში ახლად მიღებულთ, პარტიის წევრობის კანდიდატებს ესაჭიროებათ ყოველდღიური დახმარება. უმართებულოა აზრი, თითქოს პარტიაში ახლად მიღებულნი არ საჭიროებენ აღზრდას, რადგან ისინი მოწინავე და მომზადებული ხალხია. პირიქით, პარტიულმა ორგანიზაციებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ ახალგაზრდა კომუნისტთა პრაქტიკულ მუშაობაში გამოწრთობისათვის, იდეურ-თეორიულად აღზრდისათვის, ჩაუნერგონ მათ მუშაობის ბოლშევიკური ტრადიციები, პარტიის საქმისადმი უსაზღვრო თავდადება, ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვისა და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის ჩვევები.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუღალავად და განუწყვეტლივ უნდა იზრუნონ პარტიაში ახლად მიღებულთა აღსაზრდელად ბოლშევიზმის სახელოვან ტრადიციებზე, ყოველდღიურად იზრუნონ ახალგაზრდა კომუნისტთა აღსაზრდელად ისევე, როგორც თვითეულ ცოცხალ ადამიანზე განუწყვეტლივ ზრუნავს დიდი **სტალინი**.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

22 ივნისს ამხ. მოლოტოვმა მიიღო ინგლისის ელჩი ბ-ნი სმიდსი, საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ნაჯიარი და ბ-ნი სტრენგი, რომლებსაც ამხ. მოლოტოვმა გადასცა საბჭოთა მთავრობის პასუხი ინგლისისა და საფრანგეთის უკანასკნელ წინადადებებზე.

უკანასკნელი ცნობები

სვატოუს ოკუპაცია იაპონიის ჯარის მიერ

ტოკიო, 22 ივნისი (საკდესი). გაზეთების ცნობით, გუშინ საღამოს რვის ნახევარზე იაპონიის ჯარმა მთლიანად დაიკავა სვატოუ. იაპონიის ავიაციამ დღის განმავლობაში სამჯერ დაუშინა ყუმბარები ქალაქს.

გერმანიის ჯარის გადაჯგუფება გერმანია-საფრანგეთის საზღვარზე

პარიზი, 22 ივნისი (საკდესი). პრესა იუწყება, რომ გუშინწინ ღამით და მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში სწარმოებდა გერმანიის ჯარის გადაჯგუფება გერმანია-საფრანგეთის საზღვარზე.

კიროვის ქარხნის მუშაკთა დაჯილდოება

მთავრობის სპეციალური დავალების შესრულების საქმეში წარმატებითი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 21 ივნისის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან: **ლენინის ორდენით** — ქალაქ ლენინგრადის საკ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის ყოფილი მდივანი ნიკოლოზ ალექსის-ძე რუდაკოვი, ამჟამად კიროვის ქარხნის ტექნიკური ბიუროს გამგე; **შრომის წითელი დროშის ორდენით:** ლაბორატორიის უფროსის თანაშემწე იოსებ შოლომის-ძე კატერი, ქარხნის მთავარი მეტალურგი ბორის გლების-ძე მუზრუკოვი; **„საპატიო ნიშნის“ ორდენით** დაჯილდოებულია 4 კაცი, მედლით **„შრომითი გმირობისათვის“** — 4 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 1 კაცი. (საკდესი).

სოფელ ტურბაის გლეხთა აჯანყების 150 წლისთავი

ტურბაი, (პოლტავის ოლქი), 21 ივნისი (საკდესი). შესრულდა სოფელ ტურბაის (ველიკოკრინკოვის რაიონის) გლეხთა აჯანყების 150 წლისთავი. 1789 წლის ზაფხულს ამ სოფლის გლეხები, რომლებსაც უწყალოდ ჰყვლეფავდნენ მემამულე ბაზილევსკები, აუჯანყდნენ თავიანთ მჩაგვრელთ და გაანადგურეს მემამულეთა კარ-მიდამო. აჯანყება ჩააქრო ეკატერინე II-ის მიერ გამოგზავნილმა ჯარმა.

19 ივნისს ისტორიული თარიღი გრანდიოზული მიტინგით აღინიშნა. სოფელში 10 ათასამდე კოლმეურნე ჩამოვიდა მეზობელი სოფლებიდან და რაიონებიდან. ჩამოვიდნენ უკრაინელ მწერალთა დელეგაცია, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს პოეტ ი. გოროდსკის მოხსენება აჯანყების შესახებ. შემდეგ შესდგა ვ. ი. ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნა. ძეგლი დადგმულია სოფლის ცენტრში.

მიტინგის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ამხანაგ სტალინს და ამხანაგ ხრუშჩოვს.

საღამოს სოფელში დაიწყო სახალხო სეირნობა. მეფანდურეებმა შეასრულეს სიმღერები აჯანყების გმირებზე.

თადარიგიდან სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზევადიან სამსახურში შესვლის წესი

სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი მრავალ განცხადებას იღებს ზევადიან სამსახურში შესვლის სურვილის შესახებ იმ პირთაგან, რომლებიც წინათ ნამდვილ ან ზევადიან სამსახურში იყვნენ მუშურ-გლეხურ სამხედრო-საზღვაო ფლოტში. თანახმად სახალხო კომისარიატის განმარტებისა, ზევადიან სამსახურში მსურველთა მიღება სწარმოებს უშუალოდ ფლოტების (ფლოტილიების) შტაბების მიერ, სადაც უნდა გაიგზავნოს განცხადება.

თადარიგიდან მიღება სწარმოებს წელიწადში ერთხელ შემოდგომაზე, მორიგ გაწვევასთან ერთად, 3, 5 და 10 წლის ვადით. განცხადებათა მიღება სწარმოებს მთელი წლის განმავლობაში. ზევადიან სამსახურში თადარიგიდან მიღებული ყველა პირი სამხედრო-საზღვაო ზევადიან სამსახურში ჩაირიცხება პირველი წლით.

განცხადებას უნდა დაერთოს ავტობიოგრაფია, სამხედრო ბილეთი, დახასიათება სამსახურის ადგილიდან, საკ. კ. პ. (ბ) წევრებისა და კანდიდატებისათვის — პარტიული დახასიათება, საკ. ალკკ წევრებისათვის — კომკავშირული დახასიათება. (საკდესი).

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

ერევანი, 21 ივნისი (საკდესი). გუშინ გაიხსნა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა დღის წესრიგი და პირველ სხდომაზე მოისმინა სომხეთის სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის, დეპუტატ ა. ბუნიატიანის მოხსენება სომხეთის სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

დღეს სესიის დილის სხდომაზე სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებით გამოვიდა კომისიის წევრი დეპუტატი ა. შეკოიანი.

ამის შემდეგ გაიხსნა კამათი. კამათში გამოსული დეპუტატები ერთსულოვნად ამბობდნენ, რომ სომხეთის სსრ 1939 წლის ბიუჯეტი შედგენილია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებათა მიერ წამოყენებული ამოცანების სრული შესაბამისობით.

ბიუჯეტი უზრუნველჰყოფს სომხეთის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას. დეპუტატებმა გააკრიტიკეს რესპუბლიკის ფინსახკომის მუშაობის ნაკლოვანებანი და სესიაზე განსახილველად შეიტანეს წინადადებანი, რომლებიც მიმართულია საბჭოთა სომხეთის კიდევ უფრო მეტი აყვავებისაკენ.

სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაცია ა.-კ. რკინიგზის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად თბილისის სადგურზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაცია თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაცია თერთმეტი კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში შედიან: სტალინის სახელობის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ა. ა. ანიშკინი, ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოს უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. დ. ვ. შმატკოვი, სადგურ მუდრიონაიას უფროსი ამხ. ი. ვ. ნიკოლენკო, ჩაპლინის საკვანძო პარტკომის მდივანი ამხ. ტ. ე. ვერეჟნიკოვი, ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი მემანქანე ამხ. პ. პ. ცარკოვი, ნიჟნედნეპროვსკის კვანძის კონდუქტორთა რეზერვის მთავარი კონდუქტორი ამხ. ვ. პ. კონდრატოვი, დნეპროპეტროვსკის საექსპლოატაციო განყოფილების დისპეტჩერი ამხ. მ. ი. სტეპანოვი, ჩაპლინოს სადგურის მორიგე ამხ. ი. ე. ფისუნი, დოლინცევოს საორთქლმავლო დეპოს მემანქანე ამხ. ნ. ტ. ტაშჩენკო, ნოვო-მოსკოვსკაიას სალიანდაგო დისტანციის ლიანდაგის დარაჯი ამხ. პ. პ. ტარანი და ნიჟნედნეპროვსკის კვანძის სავაგონო ოსტატი ამხ. პ. ი. მაქსიმოვი.

დელეგაციას თან ახლავან ორი საოლქო გაზეთის — „ზარიას“, „დნეპროვსკაია პრავდისა“ და საგზაო გაზეთის „სტალინსკაია მაგისტრალის“ კორესპონდენტები.

სტუმრებს სადგურში შეეგებნენ: ა.-კ. რკინიგზის უფროსი, ორდენოსანი ამხ. გ. ს. კიკნაძე, გზის პოლიტგანყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ი. ი. სვანიძე, საგზაო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ორდენოსანი ამხ. კ. მ. ბუაძე, აჯიქაბულის საორთქლმავლო დეპოს უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი ამხ. იახია ჰუსეინოვი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი ამხ. ნ. ვ. გელაძე, გზის სამმართველოსა და პოლიტგანყოფილების მუშაკები და პრესის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, სტალინის სახელობისა და ამიერ-კავკასიის რკინიგზების კოლექტივები ურთიერთშორის ჩაბმული არიან მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სტალინის სახელობის გზის დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია ორივე გზას შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

ვაგზლიდან სტუმრები მიწვეულ იქნენ გზის უფროსის ამხ. კიკნაძის კაბინეტში, სადაც ამხ. კიკნაძემ მეგობრულ საუბარში მოკლედ გააცნო მათ ა.-კ. რკინიგზის მუშაობა. აქვე დასახულ იქნა დელეგაციის მუშაობის გეგმა.

როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ანიშკინმა განაცხადა, ისინი ბაქოში გზად გამოვლისას ზოგადად გაეცნენ ბაქოს საორთქლმავლო დეპოს მუშაობას და ესაუბრნენ ბაქოს საექსპლოატაციო განყოფილებისა და პოლიტგანყოფილების უფროსებს. დელეგაციის მიზანია გამოცდილების გაზიარების წესით გაეცნოს ჩვენი გზის მუშაობას ცალკე დარგების მიხედვით. ამისათვის თათბირზე დასახულ იქნა დელეგაციის მუშაობის პროგრამა, რომლის მიხედვით დელეგაციის შემადგენლობა დაიყო სამ ბრიგადად, რომლიდანაც ერთი გაემგზავრება ბაქოში, მეორე—ბალაჯარაში, ხოლო მესამე დარჩება თბილისში, და დეტალურად შეისწავლიან ამ კვანძების მუშაობას. შემდეგ ყველა ბრიგადა თავს მოიყრის თბილისში და აქედან ყველანი გაემგზავრებიან გზის დასავლეთ უბნის კვანძების (ხაშური, სამტრედია, ბათუმი, ფოთი) მუშაობის გასაცნობად. გზად დელეგაცია შეჩერდება ქ. გორში, სადაც დაათვალიერებს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სახლს — მუზეუმს.

გუშინ დღისით სტუმრები ეცნობოდნენ ქ. თბილისს, ხოლო საღამოს ბაქოსა და ბალაჯარის კვანძების მუშაობის შემმოწმებელი ბრიგადები გაემგზავრნენ ადგილებზე.

საოლქო თათბირი პროპაგანდის შესახებ

21 ივნისს ბიკოვოში საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პროპაგანდისტის საოლქო სახლში გაიხსნა საოლქო თათბირი პროპაგანდის შესახებ. ესწრება დაახლოებით 250 კაცი — საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, პარტიული კაბინეტების გამგეები, ლექტორები, პროპაგანდისტები, კონსულტანტები და მოსკოვის ოლქის ბეჭვდითი სიტყვის მუშაკები.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. კალაშნიკოვი.

ოლქის რაიონებში (ქალაქ მოსკოვის გამოკლებით) გავრცელებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დაახლოებით ნახევარი მილიონი ეგზემპლარი. ფართოდ გაიშალა სალექციო მუშაობა, კონსულტაციები, თეორიული კონფერენციები. ოლქის რაიონებში ნახევარი წლის განმავლობაში წაკითხულია 4.735 ლექცია. ეს ლექციები მოისმინა 350 ათასზე მეტმა კაცმა. მსმენელთა 70 80 პროცენტი სისტემატიურად ესწრება ლექციებს. ნაცვლად 6.396 წრისა, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ პროპაგანდის შესახებ დადგენილების გამოტანამდე არსებობდა, ამჟამად მოწყობილია ძირეული, საშუალო და უმაღლესი რგოლის 419 წრე.

უკრაინელი კოლმეურნეები ზუგდიდში

(ზუგდიდი, ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

21 ივნისს უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგატებმა რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერეს ადგილობრივი მუზეუმი და ზედაეწერის მიხა ცხაკაიას სახელობისა და ჭკადუაშის კოლმეურნეობები.

მოძმე რესპუბლიკების მოწინავე კოლმეურნეთა შეხვედრამ უსაზღვრო სიხარული გამოიწვია. სტუმრებს შეხვდნენ დროშებით, ყვავილებით. ამ სტუმრობამ ყველგან დიდი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. ჭკადუაშის კოლმეურნეობამ, რომელმაც მაისში ჩაის კრეფის გეგმა 150 პროცენტით შეასრულა, ივნისის დავალებაც ვადაზე ადრე 100 პროცენტით გაანაღდა—21 ივნისისათვის მოკრიფა 18.000 კილოგრამი ჩაი და ვალდებულება აიღო ივნისის ბოლომდე გეგმის ზევით მოჰკრიფოს 10.000 კილოგრამი.

22 ივნისს სტუმრები გაეცნენ ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის მუშაობას, ფაბრიკამ მაისში 3 ვაგონის ნაცვლად გამოუშვა 7 ვაგონი ჩაის მზა პროდუქცია, ივნისში სახელმწიფოს ჩააბარა 12 ვაგონი და იკისრა ივნისში კიდევ გამოუშვას 7 ვაგონი.

სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე ენგურის ქაღალდის კომბინატი, რომელიც ყოველდღიურად გვაძლევს 20 ტონამდე ხარისხოვან ქაღალდს. საღამოს კულტურის სახლში მოეწყო მოწინავე კოლმეურნეთა შეხვედრა. სიტყვებით გამოვიდნენ მტს-ის დირექტორი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, სტახანოველები და უკრაინელი ამხანაგები.

დასასრულს სტუმრების პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.

ტრ. თოდრაძე

სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაციის მიმართვა ამიერ-კავკასიის რკინიგზელებისადმი

თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაციამ ხაჩმასიდან შემდეგი დეპეშით მიმართა ამიერ-კავკასიის რკინიგზელებს:

„**ძვირფასო ამხანაგებო!** ნახევარ წელზე მეტი გავიდა, რაც სოცშეჯიბრებამ თბილისისა და ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოების კოლექტივთა შორის სათავე დაუდო შესანიშნავ მეგობრობას ორი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოსა და უკრაინის მეორთქლმავლეთა შორის. ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობით არის გამსჭვალული ეს სამაგალითო შეჯიბრება. საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით ამოძრავებული რკინიგზელები მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში გვიჩვენებენ მაღალი შრომის ნაყოფიერების ნიმუშებს. ორი დეპოს მეორთქლმავლეთა შეჯიბრება გაფართოვდა, მან მოიცვა ორი რკინიგზა — ამიერ-კავკასიისა და სტალინის სახელობისა — და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე დაეხმარა ორივე გზის კოლექტივს აღმოეფხვრათ მუშაობის ვიწრო ადგილები, მიეღწიათ ახალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობისათვის.

შემოვდგით რა ფეხი ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტერიტორიაზე, ჩვენ მოგიწოდებთ კიდევ უფრო მეტი ძალით გაშალოთ ბრძოლა დატვირთვის საერთო-საკავშირო გეგმის (103 ათასი ვაგონი დღე-ღამეში) გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენი სარკინიგზო მარკის სახელისათვის, მატარებელთა ფორმირების, ორთქლმავლების, ვაგონების, ლიანდაგის რემონტის მაღალი ხარისხისათვის.

გაუმარჯოს მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრებას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს**, რომლის წინამძღოლობითაც ჩვენ მივდივართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე!

დელეგაციის დავალებით:
სტალინის სახელობის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ანიშკინი
ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოს უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შმატკოვი.

11 რკინიგზამ ვადამდე შეასრულა ჩატვირთვის ნახევარი წლის გეგმა

წარმატებით გაშალა რა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, საბჭოთა კავშირის 11 რკინიგზამ 21 ივნისისათვის შეასრულა ჩატვირთვის ნახევარი წლის გეგმა.

ყველაზე მეტ წარმატებებს მიაღწიეს: დასავლეთის გზამ (გზის უფროსი ამხ. კოვალევი, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. მარჩენკო), რომელმაც ჩატვირთვის ნახევარი წლის გეგმა 131 პროცენტით შეასრულა, და ვ. მ. მოლოტოვის სახელობის გზამ (გზის უფროსი ამხ. გუნდობინი, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ვინოგრადოვი), რომელმაც ეს გეგმა შეასრულა 109 პროცენტით.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ჩატვირთვის ნახევარი წლის გეგმა: ამიერკავკასიის გზამ (გზის უფროსი ამხ. კიკნაძე, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. სვანიძე), თურქესტან-ციმბირისამ (ამხ. ბრეჟნევი და პოლიაკოვი), ბელორუსიისამ (ამხ. ნეკრასოვი და მურსინი), ოქტომბრისამ (ამხ. ბოგდანოვი და გუბარევი), ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის გზამ (ამხ. ოგნევი და სისოევი), მოსკოვ-ირგვლივმა გზამ (ამხ. ტროიცკაია და ასტახოვი), სამხრეთისამ (ამხ. კუტაფინი და ძიუბენკო), სამხრეთ-აღმოსავლეთისამ (ამხ. ტკაჩენკო და ბულბა) და კალინინისამ (ამხ. ვასილიევი და კალმიკოვი). (საკდესი).

ფეროშენადნობთა ქარხანამ შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

(ზესტაფონი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა ნატურპროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 19 ივნისისათვის შეასრულა. 5 თვესა და 19 დღეში გამოშვებულია 28 მილიონ 530 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გასული წლის 6 თვის გეგმაზე 39,6 პროცენტით მეტია.

მოლიბდენისა და სადნობი საამქროები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ორდენოსანი ინჟინერი გ. ვეფხვაძე და მედალით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებული ლ. მაღლაკელიძე, კვლავ წარმატებით ასრულებენ გეგმებს. მათ ნახევარი წლის გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს.

ვ. გოგიაშვილი

ჩაის კრეფა და დამზადება

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

„საქჩაის“ 20 ივნის ის ცნობებით

რაიონების დასახელება	უნდა მოიკრიფოს წლის განმავლობაში ტონობით.	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან ტონობით.	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით.	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტობით.
ბათუმი	1.705	544,4	31,9	46,7
ქობულეთი	7.848,6	2.576,9	32,8	68,3
გალი	3.128	1.298,3	41,5	91,5
ოჩემჩირე	1.728	720,1	40,2	91,2
სუხუმი	14	3,9	27,9	60
გუდაუთი	16	10,9	68,1	96
მახარაძე	10.011	2.973,3	29,7	65,5
ჩოხატაური	1.253	458,9	36,6	81
ლანჩხუთი	3.350	1.040,1	31	57,4
სამტრედია	261	103,7	39,7	64,7
წულუკიძე	1.151	432,1	37,5	67
ქუთაისი	317	145.6	45,9	69.8
ტყიბული	510	166.7	32,7	84.9
ცხაკაია	929	409.9	44,1	87.3
გეგეჭკორი	2.626	853,9	32,5	60
ზუგდიდი	4.881,4	1.891,9	38,8	73,6
წალენჯიხა	1.618	647.3	40	81,4
ჩხოროწყუ	1.302	522,5	40,1	85,3
ხობი	386	140	36,3	54,6
სულ:	43.100	14.940,4	34,7	70,5

○

შარშან ამავე რიცხვისათვის ჩაის მწვანე ფოთლის წლიური გეგმა შესრულებული იყო 28,2 პროცენტით, ივნისისა კი—55,7 პროცენტით. უკანასკნელ დღეებში კრეფის ტემპებს შენელება დაეტყო. მაგალითად, ივნისის პირველ ხუთდღიურში რესპუბლიკაში მოიკრიფა სულ 839,4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორეში—1.333, მესამეში—1.122, ხოლო მეოთხე ხუთდღიურში იგი 942,1 ტონამდე დავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი თვის გეგმა შესრულებულია 130 პროცენტით

ცხაკაია (ტელეფონით საკ. კორ.). ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი გამარჯვებებით უპასუხეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27-28 მაისის დადგენილებებს. კოლმეურნეობებმა 21 ივნისისათვის ჩაის კრეფის ორი თვის გეგმა 130 პროცენტით, ხოლო ივნისის გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულეს. კრეფის სეზონის დაწყებიდან რაიონში მოკრეფილია სულ 430.800 კილოგრამი ჩაი.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა 21 ივნისისათვის შესრულებული ჰქონდათ სოფ. ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 147,2 პროცენტით, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას — 132-ით, ბერიას სახელობის კოლმეურნეობას — 131,6-ით, სოფ. ზანის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობას — 139-ით, სოფ. ბეთლემის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას — 130-ით და სხვ.

რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება ივნისში დამატებით მოჰკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 60.000 კილოგრამი ჩაი.

ვ. კალანდარიშვილი

გეგმის ზევით 50.000 კილოგრამი ჩაი

გალი. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 20 ივნისისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ორი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებულ 252.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 286.000 კილოგრამი.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა აიღო ვალდებულება ივნისის ბოლომდე დამატებით მოჰკრიფოს 50.000 კილოგრამი ჩაი და ორი თვის გეგმა შეასრულოს 134 პროცენტით.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
კოხოძე

თამბაქოს შეტეხვა წარმატებით მიმდინარეობს

ქედის რაიონის კოლმეურნეები ენერგიულად იბრძვიან თამბაქოს უდანაკარგოდ აღებისათვის. სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად თამბაქოს ნაადრევი შეტეხვა წარმატებით მიმდინარეობს სოფ. ვარდანისის ბერიას სახელობის, ცხომისის ენგელსის სახელობის, კოკოტაურის აწჰესის სახელობის, ცხმელნაოს ტელმანის, გეგელიძეების — „წითელი დროშის", ზვარეს წითელარმიელის სახელობისა და სოფ. ახოს კოლმეურნეობა „ახალ შრომაში".

21 ივნისისათვის რაიონში შეტეხილია 1830 ზონარმეტრი თამბაქო. აქედან 1150 ზონარმეტრი შეტეხილი აქვთ ცხმორისის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებს.

თამბაქოს შეტეხვაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ე. მიქელაძე, გ. ბერიძე (ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა), ბ. აბაშიძე, ბ. ბერიძე (აწჰესის სახელობის კოლმეურნეობა), დ. და ი. ნაკაშიძეები (სოფელ ახოს კოლმეურნეობა) და სხვ., რომლებიც ხარისხის მტკიცედ დაცვით ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებენ თამბაქოს შეტეხვის ნორმებს.

21 ივნისიდან თამბაქოს შეტეხვა დაიწყო აგრეთვე სოფ. ქედის, აგარის, დალაბაშვილების და დანდალოს კოლმეურნეობებში.

კ. დოგორჯგინიძე

დაიწყო თამბაქოს შეტეხვა

სიღნაღი, 21 ივნისი (ტელეფონით საკ. კორ.). 19 ივნისს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო თამბაქოს პირველი შეტეხვა. 21 ივნისისათვის თამბაქო შეტეხილი იყო 1,13 ჰექტარზე. თამბაქოს შეტეხვის საქმეში ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა.

კ. ბეჟაშვილი

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი

ცხაკაია, (საკ. კორ.). ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილების გადმოტანის შედეგად ცხაკაიას რაიონის მეაბრეშუმეები წელს ჭიის მოსავალს შარშანდელთან შედარებით ადრე და გაცილებით მეტი რაოდენობით ღებულობენ.

აბრეშუმის მოსავალი ყველაზე ადრე მიიღეს სოფელ ნოქალაქევის სტახანოველმა მეაბრეშუმეებმა მარუსია კილასონიამ და პარასკევა თოფურიამ. კილასონიამ 20 დღეში დაამთავრა აბრეშუმის ჭიის კვება და 6 გრამი თესლიდან ნაცვლად 18 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩააბარა 23,2 კილოგრამი პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი. ვ. თოფურიამ ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მეთოდით მოაწყო აბრეშუმის ჭიის გამოკვება და მოვლა, მან ბაღდადის ჯიშის აბრეშუმის ჭიის კვება 22 დღეში დაამთავრა და 10 გრამი თესლიდან სახელმწიფოს ნაცვლად 30 კილოგრამისა 57,8 კილოგრამი ჩააბარა. მან გეგმა 231 პროცენტით შეასრულა და ჯილდო - დანამატის ჩათვლით 1.150 მანეთი მიიღო.

სოფ. ძველი-სენაკის მეაბრეშუმე ბაბილინა ჯაკობიამ 6 გრამი თესლიდან 24 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი მიიღო, ფოცხოს მეაბრეშუმე შუშუ სანაიამ 9 გრამი თესლიდან—43 კილოგრამი.

დღემდე დამზადებული პარკის მიხედვით ერთ კოლოფიდან საშუალო მოსავალი 60-65 კილოგრამს უდრის, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 41,5 კილოგრამისა.

ფარდულები და მიმღები პუნქტი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ აბრეშუმის უხვი მოსავლის მიღებას.

ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

სამტრედიის სავაგონო დეპომ ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 112 პროცენტით.

სამტრედიის სავაგონო დეპო ა.-კ. რკინიგზაზე ერთერთ მოწინავე დეპოდ ითვლება.

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის დეპოს მთელი კოლექტივი საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ დაჯილდოებულ იქნა გარდამავალი დროშით.

სავაგონო დეპოს კოლექტივი ერთსულოვნად იბრძოდა ნახევარი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

21 ივნისს, ვადაზე 9 დღით ადრე, დეპოელებმა ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს. ნაცვლად 180 ვაგონისა, გამოუშვეს 202 ვაგონი, რაც გეგმის 112 პროცენტს უდრის.

დეპოს მთელმა კოლექტივმა აიღო ვალდებულება, რომ რკინიგზის სრულიად-საკავშირო სტალინურ დღესასწაულს — 30 ივლისს შეხვდება გეგმების გადაჭარბებით, ივლისში, ნაცვლად 30 ვაგონისა, გამოუშვებს შეკეთებიდან 42 ვაგონს და შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 4 პროცენტით, ხოლო ავადმყოფ ვაგონების რაოდენობას შეამცირებს 50 პროცენტით.

გ. სიხარულიძე

დადგენილებამ ახალი ენთუზიაზმი გამოიწვია

ჭიათურა (საკ. კორ.). საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ. კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" უდიდესი სიხარულით განიხილეს ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებში.

ამ ისტორიულმა დადგენილებამ კოლმეურნეობებში შრომის ახალი ენტუზიაზმი გამოიწვია. სოფელ პერევისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა ჩამორჩენით მუშაობდა. ჩამორჩენის მიზეზი კი ის იყო, რომ კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი სამუშაოდ არ გამოდიოდა. დადგენილების გაცნობამდე საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ 260 კოლმეურნე, ამჟამად კი სამუშაოზე გამოდის სამასამდე კაცი.

საგრძნობლად გამტკიცდა დისციპლინა და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება აგრეთვე სოფელ ჩიხის 1 მაისის სახელობისა და სადხვრის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობებში.

დადგენილების გაცნობისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან საკოლმეურნეო კრებებზე გამომჟღავნებულ იქნენ კოლმეურნეობის ისეთი წევრები, რომლებიც წამგლეჯობას და თვალთმაქცობას ეწევიან. სოფელ არგვეთის კოლმეურნეობა „ლენინის გზით" ჯერ კიდევ ითვლის თავის რიგებში ნ. ბაქრაძეს, ვ. მაჭავარიანს, თ. აბრამიშვილს, ს. იაშვილს და ქ. კურცხალიას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ სოფელში დიდიხანია აღარ ცხოვრობენ, კოლმეურნეობიდან მიღებულ ნაკვეთს კი დაქირავებული შრომით ამუშავებენ. სოფ. არგვეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრად დღემდე ირიცხებოდა ლ. აბაშიძე, რომელიც ამ რაიონში მხოლოდ მოსავლის აღების დროს ჩამოდის.

პერევისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის „წევრი" ნ. სალირაშვილი არ დასჯერდა საკოლმეურნეო სტალინური წესდების მიხედვით მიღებულ საკარმიდამო ნაკვეთს და კერძო მეურნეობის გაფართოების მიზნით ოჯახი სამ ნაწილად გაჰყო. ფორმალურად გაიყარნენ აგრეთვე ვასილ და ნიკოლოზ დევიძეები და ერთი-ორად გაზარდეს საკარმიდამო ნაკვეთი.

კოლმეურნენი აღფრთოვანებული არიან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით, სიტყვას იძლევიან წარმატებით შეასრულონ გეგმები და შრომის უკეთესად მოწესრიგებით ჭარბი მუშა-ხელი მიაწოდონ მარგანეცის მრეწველობას.

ლ. ლოლაძე

მიწების განიავებისათვის სამართალში მისცეს

გურჯაანი (სპეც. კორ.). გურჯაანის რაიონის სოფ. ახაშენის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ შ. მინდიაშვილმა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწიდან მიისაკუთრა 0,15 ჰექტარი ფართობი. მან კოლმეურნეობის საერთო ფართობიდან მიწა ნორმის ზევით მისცა აგრეთვე 11 კოლმეურნეს.

ასევე მოიქცნენ ამავე სოფლის კოლმეურნეობა „გლეხის ნაბიჯის" ყოფილი თავმჯდომარე ა. სირბილაშვილი და მოანგარიშე დ. სირბილაშვილი. მათ 1,25 ჰექტარი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწა მიითვისეს და კოლმეურნეობის საერთო ფართობიდან ზედმეტად მიუზომეს მიწა 14 კოლმეურნეს.

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის ბიურომ, განიხილა რა ეს საკითხი, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისათვის შ. მინდიაშვილი, ა. სირბილაშვილი და დ. სირბილაშვილი სამართალში მისცა.

შ. სირაძე



თბილისი. კამოს სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. **სურათზე:** ხარატი-სტახანოველი ამხ. ს. აფონჩენკო (საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი), რომელიც ჩაება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრებაში და გეგმას ასრულებს 300%-ით.

საქდესის ფოტოქრონიკა

პასუხები შეკითხვებზე

ნეიის საზავო ხელშეკრულება

ნეიის საზავო ხელშეკრულება დადებულია 1919 წლის 27 ნოემბერს მოკავშირე სახელმწიფოებსა და ბულგარეთს შორის. უკანასკნელმა ამ საზავო ხელშეკრულების მიხედვით მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკლისი განიცადა. მან დაჰკარგა გასასვლელი ეგეის ზღვაზე ნავსადგურ დედეაგაჩით, რომელიც გადაეცა საბერძნეთს, დაჰკარგა დობრუჯის ნაწილი, რომელიც გადაეცა რუმინეთს. მას აგრეთვე დააწვა რეპარაციების და განიარაღების ტვირთი. მაგრამ შემდეგში ბულგარეთისათვის დაწესებულ რეჟიმში მოხდა მნიშვნელოვანი შემსუბუქებანი. მას მნიშვნელოვნად შეუმცირეს რეპარაციების თანხა და მისი გადახდა ისე იყო განაწილებული, რომ ბულგარეთის სარეპარაციო გადასახდები შედარებით უმნიშვნელო იყო, ხოლო შემდეგ ფორმალურად გაუქმდა. მას შემდეგ, რაც ბულგარეთში დამყარდა ფაშისტური სამხედრო დიქტატურა (1923 წელი), იგი ფაქტიურად არ ასრულებს ვალდებულებას შეიარაღების შესახებ, სარგებლობს რა იტალიის მფარველობით, რომელიც ცდილობს გადააქციოს იგი თავისი პოლიტიკის იარაღად ბალკანეთში.

გერმანიის ფაშიზმის მიერ ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის დაპყრობისა და იტალიის ფაშიზმის მიერ ალბანეთის დაპყრობის შემდეგ გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი მისწრაფის გამოიყენოს ბულგარეთი, როგორც მოკავშირე იუგოსლავიის დანაწილების თავისი გეგმების განხორციელებისათვის.

ლოზანის საზავო ხელშეკრულება

ლოზანის საზავო ხელშეკრულება დადებულია 1923 წლის 24 ივლისს თურქეთსა და მოკავშირე, გაერთიანებულ სახელმწიფოებს შორის. საზავო ხელშეკრულების თავდაპირველი პირობები თავს მოახვიეს თურქეთს მსოფლიო ომის შემდეგ სევრში (1920 წლის 10 აგვისტოს). სევრის საზავო ხელშეკრულებას თურქეთი ფაქტიურად მიჰყავდა ნახევრად-კოლონიის მდგომარეობამდე. მაგრამ თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძოლაში თურქმა ხალხმა შესძლო დაეცვა ეს დამოუკიდებლობა. თურქეთმა საბერძნეთთან ომში, რომელსაც მხარს უჭერდა დიდი ბრიტანეთი, 1921---1922 წლებში სრული გამარჯვება მოიპოვა. ამის შედეგად ლოზანის კონფერენციამ, რომელიც შესდგა 1922—1923 წლებში თურქეთის, საბერძნეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის, აგრეთვე თურქეთის მთავრობის დაჟინებით მოწვეული სსრ კავშირის მონაწილეობით, გამოიმუშავა ახალი საზავო ხელშეკრულების პირობები. თურქეთმა მიაღწია სევრის საზავო ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვების გაუქმებას. მისი შეიარაღებული ძალების მიმართ და რეპარაციების გადახდის ვალდებულების გაუქმებას. საკითხი მოსულის შესახებ, რაც წარმოადგენდა კამათის საგანს თურქეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის, რომელიც ცდილობდა შეეერთებინა იგი თავის სამანდატო ტერიტორია ერაყთან (მესოპოტამია), ღიად იქნა დატოვებული. შემდეგში ეს საკითხი გადასჭრა ერთა ლიგამ დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ. მცირე აზიაში თურქეთს დაუბრუნდა სევრის ხელშეკრულებით საბერძნეთის სასარგებლოდ ჩამორთმეული სმირნა და აიდინი. თურქეთმა ევროპაში მიიღო თავისი ომამდელი საზღვრები. იმავე დროს თურქეთმა ლოზანის ხელშეკრულებით მიაღწია კაპიტულაციების (უცხოელებისათვის განსაკუთრებული უფლებების) რეჟიმის გაუქმებას და შემდეგში თავისი ტერიტორიის ფარგლებში უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეთათვის უფლებრივი მდგომარეობის დაწესებას ურთიერთვალდებულების საფუძველზე. ოტომანთა იმპერიის საჯარო ვალის, ე. ი. სულთანის თურქეთის ვალების საკითხი რჩებოდა ღიად. საკითხი სრუტეების (დარდანელი და ბოსფორი) შესახებ მოწესრიგებულ იქნა განსაკუთრებული კონვენციით, რომელიც შეტანილია ლოზანის საზავო ხელშეკრულების შემადგენლობაში. სრუტეების შესახებ კონვენციის თანახმად ისინი გამოცხადებულ იქნენ გახსნილად ყველა სახელმწიფოს როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემებისათვის, ამასთან როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს (თურქეთის ნეიტრალიტეტის დროს). თურქეთს ჩამოერთვა უფლება გაემაგრებინა სრუტეების სანაპირო, ჰყოლოდა მათთან ახლო მდებარე განსაკუთრებულ ზონაში რაიმე შეიარაღებული ძალა და სხვ. ამგვარად, ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოების ფლოტებს თავისუფლად შეეძლოთ შესვლა შავ ზღვაში, რაც საფრთხეს უქმნიდა მის სანაპიროებზე მდებარე სახელმწიფოების უშიშროებას. საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა სრუტეების რეჟიმის საკითხის განხილვაში, კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ამ საკითხის ასე გადაჭრისა. მაგრამ ლოზანაში გაიმარჯვა იმპერიალისტური სახელმწიფოების, პირველ რიგში დიდი ბრიტანეთის, მთავრობების თვალსაზრისმა, რომლებიც სრუტეების კონვენციაში ხედავდნენ თავიანთი ანტისაბჭოთა პოლიტიკის შესაფერ იარაღს.

შემდეგში ლოზანის საზავო ხელშეკრულების ზოგიერთი პირობა გადასინჯულ იქნა. კერძოდ, თურქეთის ინიციატივით გადასინჯულ იქნა კონვენცია სრუტეების შესახებ. იგი შეცვლილ იქნა ახალი კონვენციით, რომელიც დაიდო მონტრეში 1936 წლის 20 ივლისს შემდგარი კონფერენციის შედეგად.

ამ კონვენციამ აღადგინა თურქეთის უფლება გაამაგროს სრუტეები და იყოლიოს იქ თავისი შეიარაღებული ძალები. დაწესდა შეზღუდვანი სრუტეებზე გავლის მხრივ იმ სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროებზე არ მდებარეობენ. 1938 წელს თურქეთის მოთხოვნით გადასინჯულ იქნა ლოზანის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრები მის ტერიტორიასა და სირიას შორის, რომელიც იმყოფებოდა საფრანგეთის მანდატის ქვეშ. კერძოდ ყოფილი სანჯაყი (ოლქი) ალექსანდრეტა, რომელიც თავდაპირველად შეტანილ იქნა სირიის შემადგენლობაში, გამოიყო დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ ერთეულად, რომელიც იმყოფება საფრანგეთისა და თურქეთის საერთო მმართველობის ქვეშ.

კარპატის რუსეთი

კარპატის რუსეთი, ანუ ეგრეთწოდებული კარპატის უკრაინა, ჩეხოსლოვაკიის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი იყო. 1939 წლის 1 იანვრის ცნობებით, მის ტერიტორიაზე (11 ათასი კვადრატული კილომეტრი) ცხოვრობდა 620 ათასი სული მოსახლეობა, მათგან 500 ათასამდე ეგრეთწოდებული უკრაინელები. ამ „უკრაინელთაგან" დიდი უმრავლესობა არასოდეს არ სთვლიდა თავს უკრაინელად და ყოველთვის იწოდებოდა რუსინებად. რუსინებთან ერთად აქ ცხოვრობს უკრაინელების („გუცული") მცირე რაოდენობა. კარპატის რუსეთი წარმოადგენს უმნიშვნელო ოდენობას არა მარტო თავისი ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით, არამედ ეკონომიურადაც. მისი ერთადერთი სიმდიდრეა ტყეების სიუხვე, რომელთა ექსპლოატაცია გაძნელებულია გზების უქონლობის გამო. ტყეებით დაფარულია მთელი ტერიტორიის 60 პროცენტამდე. სოფლის მეურნეობა, რომელსაც მისდევს მოსახლეობის 66 პროცენტი, განსაკუთრებით ღარიბი და პრიმიტიულია. კარპატის რუსეთის ეკონომიკაში და მისი მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში ამ დრომდე შენარჩუნებულია საშუალო საუკუნეების ბევრი ნაშთი. მიუნხენის შეთანხმების შემდეგ კარპატის რუსეთმა ბერლინის გავლენით მიიღო ავტონომია. ავტონომიური „მთავრობა", რომელსაც სათავეში ხუცესი ვოლოშინი უდგას, მთლიანად იმყოფებოდა ჰიტლერის აგენტების ხელში, რომლებმაც იგი გამოიყენეს თავისი ინტრიგებისათვის პრაღისა და პოლონეთის წინააღმდეგ. ეს „მთავრობა" გერმანელი აგენტების ხელმძღვანელობით გაძლიერებით ატარებდა კარპატის რუსეთის უკრაინიზაციას.

ჩეხოსლოვაკიის შექმნამდე, 1918 წელს კარპატის რუსეთის სლავური მოსახლეობა იმყოფებოდა უნგრელ მემამულეთა განსაკუთრებით მძიმე ნაციონალური და ეკონომიური ჩაგვრის ქვეშ. მაგალითად, უნგრეთის მთავრობას აქ არა ჰქონია არცერთი სკოლა, რომელშიც სწავლება ყოფილიყო რუსინულ ან უკრაინულ ენებზე. კარპატის რუსეთი ეკონომიურად და კულტურულად ევროპის თითქმის ყველაზე ჩამორჩენილ რაიონი იყო (მის ზოგიერთ ოლქში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 70 პროცენტს აღწევდა). მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის ფარგლებში მიიღეს რუსინებმა და უკრაინელებმა თავიანთი სკოლები და დაიწყეს ცოდნის ამაღლება.

1939 წლის მარტში, როდესაც გერმანიის ჯარებმა მთელი ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მოახდინეს, კარპატის რუსეთი გერმანიის თანხმობით ხელთ იგდო უნგრეთმა.

ოქროს ძველი დოლარები და რას უდრის ამჟამად დოლარი?

ოქროს ძველი დოლარები ამერიკის შეერთებული შტატების ფულის ერთეულია, რომელიც არსებობდა 1900 წლის მარტიდან 1933 წლის აპრილამდე და რომელიც შეადგენდა 90-პროცენტიანი სინჯის 25,8 გრან ოქროს (1 გრანი—64,799 მილიგრამს). 1933 წლის აპრილში ამერიკის შეერთებული შტატები ჩამოშორდნენ ოქროს სტანდარტს, მაგრამ 1934 წლის 31 იანვარს დაწესებულ იქნა დოლარის ახალი პარიტეტი ოქროს მიმართ, რის თანახმადაც 1 დოლარი უდრის 90-პროცენტიანი სინჯის 15$^{5}/_{21}$. ამგვარად, ერთი ახალი დოლარი უდრის ძველი დოლარის 0,59-ს (უფრო ზუსტად—59,06 ძველ ცენტს).

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს უფლება აქვს კიდევ შეამციროს დოლარის პარიტეტი, 50 ძველ ცენტამდე (ცენტი—$^{1}/_{100}$ დოლარის).

ჟურნ. „პროპაგანდისტი" № 9.

გამოფენის ღირსეული მონაწილე

(ლაგოდეხი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

სულ სხვაა ახლა სოფელი შრომა, საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალე გამარჯვებამ სრულიად შესცვალა ამ სოფლის სახე და შინაარსი და ის მთელ რაიონში ერთერთ მოწინავე და კულტურულ სოფლად აქცია. სოფელ შრომის კოლმეურნეობაში ახლა 151 კომლია გაერთიანებული, მას სახელმწიფო აქტით უსასყიდლოდ და უვადო სარგებლობაში ჩაბარებული აქვს 537 ჰექტარი, ის მიწა, რომელსაც წინათ თავადი ჩოლოყაშვილი ჰფლობდა. კოლმეურნეობაში შექმნილია მეცხოველეობის სასაქონლო ფერმა, რომელშიაც 95 სული პირუტყვია. ჰყავთ ორი ავტომანქანა, აქვთ უხვი მოსავლის მომცემი თამბაქოს პლანტაციები, რაც კოლმეურნეთა შეძლებულობის და ბედნიერი ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს.

შარშან და შარშანწინ კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 14,6 ცენტნერი თამბაქოს მოსავალი მიიღო, მაშინ როცა გეგმა 10 ცენტნერს ითვალისწინებდა. კერძოდ შარშან კოლმეურნეობამ პირველი ხარისხის თამბაქოს დამზადების გეგმას 4-ჯერ გადააჭარბა. კოლმეურნეობის შარშანდელმა ფულადმა შემოსავალმა 850 ათას მანეთს მიაღწია. აქედან 71.939 მანეთი მარტო თამბაქოსაგან მიღეს.

ამ წარმატებისათვის სოფ. შრომის კოლმეურნეობა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებულია გამოფენის მონაწილედ. კოლმეურნეობამ ამ წარმატებას იმით მიაღწია, რომ აქ მტკიცედ ატარებდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას, სწორედ მოაწყეს შრომა, შემოიღეს მუშაობის რგოლური სისტემა, ფართოდ გაშალეს სტახანოვური მოძრაობა.

კოლმეურნეობის სტახანოველმა ბრიგადირმა აბრამ ინაშვილმა, რომელიც გამოფენის კანდიდატად არის წარდგენილი, შარშან ჰექტარზე 14,2 ცენტნერი ხორბლის მოსავალი მიიღო. ინაშვილმა აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარა თესვა, მოაწყო ნათესების ორჯერ გადაფარცხვა და სამჯერ გამარგვლა.

ვ. ა. ღვინიაშვილი

○

სტახანოველი პეტრე შეითნიშვილი გამოფენაზე წარდგენილია, როგორც მეთამბაქოეობის სანერგე საქმის მოწინავე ოსტატი. შარშან მან 10 ჰექტარის ნაცვლად 15 ჰექტარისათვის საჭირო რაოდენობით გამოიყვანა თამბაქოს მაღალხარისხოვანი ჩითილი.

კოლმეურნეობის სტახანოველი მეთამბაქოე ვარო ღვინიაშვილი, რომელიც გამოფენის კანდიდატად არის წარდგენილი, შარშან ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

კოლმეურნეები ხარობენ საკოლმეურნეო შრომის ხვავითა და ბარაქით. შარშან მათ თვითეულ შრომადღეზე მარტო ფულად 8 მან. და 50 კაპ. მიიღეს, პროდუქტები კიდევ სხვა იყო.

ვანო თანდილაშვილის ოჯახმა შარშან 1275 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან შრომადღეებზე მარტო ფულად 10.837 მანეთი მიიღო. შრომადღეებზე მან უხვად მიიღო პროდუქტებიც.

კოლმეურნეებმა პ. შეითნიშვილმა, ა. კიკილაშვილმა, ვ. მერმანიშვილმა, მ. ზავარაშვილმა და სხვებმა, რომლებიც პატიოსნად და ენერგიულად მუშაობენ, საკოლმეურნეო შემოსავლით ორსართულიანი სახლები აიშენეს და ოჯახი კულტურულად მოაწყეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე გელაშვილი საკოლმეურნეო მშენებლობის ნიჭიერი ორგანიზატორია. მისი თავდადებული შრომით კოლმეურნეობამ არ იცის რა არის ჩამორჩენა.

სოფელ შრომის კოლმეურნეობის წევრები როდი კმაყოფილდებიან მიღწეული წარმატებებით. ჩაებნენ რა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში, კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს მიმდინარე წელს მიიღონ ჰექტარზე საშუალოდ 16 ცენტნერი თამბაქო, ამდენივე ხორბალი, 25 ცენტნერი სიმინდი და 80 ცენტნერი კარტოფილი.

ამ ბოლშევიკური თვითვალდებულების წარმატებით შესრულების მიზნით შრომის კოლმეურნეობას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს კალინინის სახელობის კოლმეურნეობა და სოფელ ჩადუნიანის კოლმეურნეობა „წითელი დროშა".

დ. ბატიაშვილი

ბ. ყურაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი

უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი

მიმდინარე წელს სიღნაღის რაიონში აღებულ უნდა იქნას თავთავიანი მარცვლეული კულტურები 22.000 ჰექტარამდე, აქედან მტსები კომბაინებით აიღებენ 20.580 ჰექტარს.

მარცვლეული კულტურების მოსავალი წელს კარგია. წინასწარი გამოკვლევით წელს კოლმეურნეობებში თვითეულ ჰექტარზე მიღებული იქნება საშუალოდ 14 ცენტნერი მოსავალი. რაიონში უნდა მივიღოთ სულ დაახლოვებით 2.000.000 ფუთი მარცვლეული.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებათა რეალიზაციის შედეგად სიღნაღის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციები უხვი მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის შარშანდელთან შედარებით წელს უკეთესად მოემზადნენ. ეს დადგენილებანი განხილულ იქნა რაიონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციებში, კოლმეურნეთა საერთო კრებებზე და მტს-ების საწარმოო ბრიგადებში. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი.

მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღებისათვის მზადება ადრიდანვე დავიწყეთ. 30 მაისისათვის რაიონის მტს-ებში არსებული 85 კომბაინი, 15 თვითმკვრელი და 130 ცალი სათიბი მანქანა სრულ წესრიგში იყო მოყვანილი. დამატებით მიღებულ იქნა მოსავლის ასაღები წვრილი ინვენტარი და სხვ. მოსავლის აღება წნორის და ალაზნის მტს-ებმა დაიწყეს 1 ივნისს 20 ივნისისათვის ქერი და ხორბალი აღებული იყო 4.500 ჰექტარზე. მოსავლის აღება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

მიმდინარე წლის მოსავლიდან დაახლოებით 18.000 ტონა მარცვლეული უნდა მოთავსდეს საკოლმეურნეო ბეღლებში. წინასწარი შემოწმების და გამორკვევის შედეგად კი აღმოჩნდა, რომ რაიონის კოლმეურნეობებში არსებული ბეღლები, პატარა მარცვალსაცავების ჩათვლით, მხოლოდ 15.640 ტონა მარცვლეულს დაიტევენ. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ბეღლების 70 პროცენტი ვერ აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც აუცილებელია მარცვლეულის ნორმალურ პირობებში შენახვისა და დაცვისათვის.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები. მობილიზაცია გაუკეთდა საშენ მასალათა ადგილობრივ რესურსებს, შეკეთდა ძველი და გამოინახა ახალი მარცვალსაცავები. ამრიგად, ეს საკითხი უახლოეს დღეებში სავსებით მოგვარდება. მიმდინარე წელს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მოსავალს წესიერად დავაბინავებთ და შევინახავთ მომავალი წლისათვის კი ასეთი მდგომარეობის დატოვება ყოვლად შეუძლებელია. აქედანვე უნდა იქნას მიღებული ზომები, რომ 1940 წლის მოსავლისათვის აიგოს 12.000 ტონის ტევადობის სტანდარტული ბეღლები. ამ მიზნით კოლმეურნეობები დროზე უნდა იქნან მომარაგებული საშენი მასალით და ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა შესაბამისად მიეცეს მათ საჭირო კრედიტები.

მარცვლეულის დაბინავება-დახარისხებისათვის რაიონს დამატებით სჭირდება 7.000 ცალი ტომარა, 40 ტრიერი, 15 ცალი სანიავებელი და დამხარისხებელი მანქანები, რომელთა შეძენაში მიწსახკომმა და „საქსოფლმომარაგებამ" ყოველგვარი დახმარება უნდა გაგვიწიონ.

ულიანოვკის მტს-მა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად, წელს კომბაინით უნდა აიღოს მოსავალი 6.000 ჰექტარზე, სულ კი მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში ასაღებია 8.046 ჰექტარი.

ჩვენი წინასწარი გამოკვლევით, ულიანოვკის მტს-ს აქვს სრული შესაძლებლობა დამატებით აიღოს 1000 ჰექტარი. ეს ფართობი აღებულ უნდა იქნას ნაწილობრივ დაქანებულ ადგილებზე, რისთვისაც საჭირო იქნება კომბაინის გაწევაზე „სტზ"-ის მარკის ტრაქტორთან ერთად გამოყენებულ იქნას „უნივერსალის" მარკის ტრაქტორიც (დაქანებულ ადგილებში კომბაინის გასაწევად საჭირო იქნება ერთდროულად ორი ტრაქტორი).

იმ მიზნით, რომ თავიდან ავიცილოთ ცვენადი ჯიშების (კოოპერატორკის) დიდი დანაკარგები, გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ კომბაინების მუშაობა ღამითაც.

სიღნაღის რაიონში დროზე დაიწყო თავთავიან კულტურათა მოსავლის სააპრობაციო ძნების აღება და მათი ანალიზი. ჯერ კიდევ 10 ივნისისათვის აპრობირებული იყო სულ 1842 ჰექტარი, აქედან მაღალ კატეგორიას 1057 ჰექტარი მიეკუთვნა. საქმე ისე გვაქვს მოწყობილი, რომ მოსავლის აღების დაწყებამდე 3 დღით ადრე აპრობაციის შედეგები ხელზე ეძლევათ კოლმეურნეობებს.

საჭიროა დროზე მოგვეცეს სახელმწიფოსათვის ჯიშიანი სათესლე მასალის ჩაბარების გეგმა, რათა არ განმეორდეს გასული წლის მაგალითები და უზრუნველყოფილ იქნას გეგმის დროულად შესრულება.

რაიონში არსებული საშემოდგომო ნათესების დიდი ნაწილი ამჟამად დაავადებულია „ქანგათი". ამ დაავადებას მომავალში ადგილი რომ არ ექნეს, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მოსავლის აღებასთან ერთად ჩავატაროთ ნაწვერალის აოშვა და მასობრივად გატუსვა. ეს ღონისძიება, რაც მოწინავეთა გამოცდილებით არის დადასტურებული, დიდად უწყობს ხელს როგორც ქანგას მოსპობას, ისე მინდვრის თაგვის განადგურებას და სარეველების მაქსიმალურად შემცირებას.

ამ საქმის ორგანიზებულად ჩატარებისათვის თვითეულ კომბაინზე მიმაგრებული გვყავს 14 კაცი. მათ დავალებული აქვთ როგორც დარჩენილი თავთავების აკრეფა და კომბაინებით აღებული ფართობის ნამჯისაგან გაწმენდა-გასუფთავება, ისე ნაწვერალის აოშვა.

ნაწვერალის აოშვა მოსავლიანობის გადიდების ერთერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, მაგრამ საქმეს ის აფერხებს, რომ რაიონში არა გვაქვს საოში გუთნები. აოშვა უნდა მოხდეს 4-5 სანტიმეტრზე, ჩვეულებრივი გუთნით კი ამ სიღრმეზე მოხვნა შეუძლებელი ხდება. საჭიროა მიწსახკომმა სიღნაღის რაიონის მტს-ები მომარაგოს საოში გუთნებით.

◆

პარტიული ცხოვრება

საქალაქო და რაიონული პარტაქტივის კრებები

ბათუმი

ბათუმი (ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.). 20—21 ივნისს მიმდინარეობდა ბათუმის პარტაქტივის საქალაქო კრება. კრებამ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის შედეგებზე მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ბარამიას მოხსენება.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13 კაცმა. აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ აჭარის კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მიწების განიავებას. გარდა ამისა, კოლმეურნეობებში მოიპოვებოდნენ ისეთი წევრები, რომლებიც არ გამოდიოდნენ სამუშაოდ.

კრებაზე გამოირკვა აგრეთვე, რომ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ კოლმეურნეობებში საგრძნობლად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა ერთპიროვნული მეურნეების სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ. 20 დღის განმავლობაში აჭარის კოლმეურნეობებს შეემატა 300-მდე ახალი წევრი.

პარტიული აქტივის კრებამ მოხსენების გარშემო მიიღო რეზოლუცია.

ქ. დოგორჯგინიძე

ქუთაისი

ქუთაისი (ტელეფონით საკ. კორ.). 21 ივნისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების განხილვისადმი. აქტივმა საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით ერთხმად აირჩია პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები: ტელმანი, ხოზე დიასი, დიმიტროვი, ჩარკვიანი და ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა ქუთაისის ქალაქკომის მდივანი ამხ. გ. ნარსია.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა.

მოკამათენი მიღწევებთან ერთად აღნიშნავდნენ ნაკლოვანებებს და მოჰყავდათ საკოლმეურნეო წესდების დარღვევის კონკრეტული მაგალითები. კერძოთ, აღინიშნა საკოლმეურნეო მიწების განიავებისა და დატაცების ფაქტები.

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ერთსულოვნად მოიწონა პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი პლენუმის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

ევ. გვასალია.

ხაშური

ხაშური (საკ. კორ.). რაიონული პარტიული აქტივის კრებას, რომელიც რკინიგზის კლუბში ჩატარდა, 300-ზე მეტი კაცი დაესწრო. კრებაზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ხუჯაძე. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 17-მა ამხანაგმა, მათ შორის: ამხ. ჭანკვეტაძემ (ძირულის საბჭოს თავმჯდომარე), ლ. ლაცაბიძემ (ოსიაურის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტდარგში), ზ. კიკნაძემ (საქ. ალკკ ხაშურის რაიკომის მდივანი), ა. მიქაძემ (აგარის მტს-ის დირექტორი) და სხვ.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა ღონისძიება მათ სარეალიზაციოდ. კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ სტალინს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს, სტალინურ სახკომს ამხანაგ ლ. ბერიას და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს.

ვ. ხეთაგური

ცხაკაია

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

21 ივნისს ჩატარდა ცხაკაიას რაიონის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის შედეგების განხილვისადმი. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანმა ამხ. ი. შამუგიამ.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო 17 კაცმა. როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა მოიყვანეს მთელი რიგი ფაქტები კოლმეურნეობებში სტალინური წესდების უხეშად დარღვევისა. ორატორებმა პარტიული აქტივის ყურადღება გაამახვილეს საკოლმეურნეო წესდების დამახინჯებათა დაუყოვნებლივ გამოსწორების, მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების დროულად შესრულების საკითხებზე.

პარტაქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებები და დასახა სათანადო ღონისძიებანი პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ვ. კალანდარიშვილი

ორდენოსანი მასწავლებელი თ. ჯაფარიძე მიღებულია საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად

ხარაგოული (საკ. კორ.). საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის ბიურომ ამ დღეებში დაამტკიცა სოფელ ხუნევის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრების დადგენილება ხუნევის არასრული საშუალო სკოლის ორდენოსანი მასწავლებლის თამარ ბესარიონის-ასულ ჯაფარიძის საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღების შესახებ.

დ. გაბრიაძე

პარტიული პროპაგანდა სტალინის რაიონში

სტალინის რაიონის პარტორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში სერიოზული მუშაობა ჩაატარა პარტიული პროპაგანდის გარდასაქმნელად. ჩვენმა ინტელიგენციამ უდიდესი ინტერესითა და აღფრთოვანებით მოჰკიდა ხელი რევოლუციური თეორიის დაუფლებას.

კომუნისტებში გაიზარდა თავის ძალების რწმენა, რწმენა იმისა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის წარმატებით დაუფლება შესაძლებელია დამოუკიდებელი, ინდივიდუალური მუშაობით.

ცნობილია, რომ მაგალითის ძალა დიდი ძალაა. ინდივიდუალურ მეცადინეობას ხელი მოჰკიდა რაიონის პარტიულმა აქტივმა, პირველად ორგანიზაციათა პარტბიუროს ბევრმა მდივანმა, პარტორგმა. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მაჭავარიანი გულმოდგინედ მუშაობს თავის-თავზე. მან უკვე შეისწავლა პარტიის ისტორიის მე-6 თავი, კითხულობს დამატებით ლიტერატურას, სისტემატურად ესწრება კონსულტაცია-ლექციებს. ამ ქარხნის ინტელიგენციაც დიდი გულმოდგინებით ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს. უპარტიო ინჟინერი ამხ. გ. სვანიძე ყურადღებით სწავლობს ბოლშევიზმის ისტორიას. კონსულტაცია-ლექციებს ყოველთვის ესწრება და დიდ აქტივობას იჩენს.

სერიოზულ ყურადღებას აქცევს რაიონული კომიტეტი ძირეულ ორგანიზაციებში კონსულტაციის, თათბირებისა და დისკუსიების ჩატარებას.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანაში აპრილში ჩატარდა ლექცია ისტორიის მოკლე კურსის პირველ თავზე. ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის. მომხსენებელს ამხ. გებიშვილს მრავალ შეკითხვებს აძლევდნენ.

აქ 3 ივნისს ჩატარდა აგრეთვე ამხანაგური თათბირი იმ პირებისათვის, ვინც დამოუკიდებლად სწავლობს საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსს.

საგზაო მშენებლობის ქარხანაში ჩატარებულია 4 კონსულტაცია პარტიის ისტორიის საკითხებზე.

მაგრამ საქმეს ყველგან როდი ეკიდებიან პასუხისმგებლობით, მართალია, მაუდის ფაბრიკის პარტორგანიზაციაში 10 ლექცია და 1 კონსულტაციაა ჩატარებული, მაგრამ თუ რა და რა სახის ლექცია იყო, რამდენი კაცი დაესწრო მათ,—ამის გაგება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან აქ აღრიცხვა მოუგვარებელია. არც იმ ამხანაგების თათბირი იწვევა, ვინც დამოუკიდებლად სწავლობს პარტიის ისტორიას. ქარხნის 5-დღიური ნაბეჭდი გაზეთი „თბილისის მაუდელიც" სუსტად აშუქებს პარტიული პროპაგანდის საკითხებს, არ ეწევა ლექციების პოპულარიზაციას, გაზეთის ფურცლებზე არ ჩანს გამოცდილების გაზიარება და სხვ.

ლექციებმა სავსებით გაამართლეს თავისი-თავი. ლექციები დიდი პოპულარობით სარგებლობს. რაიონში ჩატარებულია 140 ლექცია, აქედან პარტისტორიის საკითხზე 80, ფილოსოფიაზე — 20, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე — 30 და სხვ.

პარტიული პროპაგანდის მეორე ფორმა, რომლისთვისაც ჩვენ ამჟამად ვემზადებით, ეს არის თეორიული კონფერენცია. თეორიული კონფერენციები ხელს უწყობენ ამხანაგებს უკეთ შეითვისონ წაკითხული, აჩვევენ მათ საჯარო გამოსვლებს და სხვ.

ამჟამად თეორიული კონფერენციის მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებისათვის რაიონის მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში (მაუდის ფაბრიკა, მკერავი № 1, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხანა და სხვ.) მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა.

რაიონში შექმნილია წრეები, უმთავრესად ძირეული და საშუალო რგოლებისათვის. მათი მუშაობის შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის.

თამბაქოს ფაბრიკაში კადრების ძირეული რგოლისათვის ჩამოყალიბებულია 3 წრე. აქ მდგომარეობა ვერ არის კარგად: მეცადინეობა სწარმოებს ძველი მეთოდით, წრეები არასწორადაა დაკომპლექტებული, გამეფებულია უდისციპლინობა. 2 ივნისს 7 საათზე დანიშნული მეცადინეობა 40 წუთის დაგვიანებით დაიწყეს. პროპაგანდისტი ამხ. ტრაპაიძე ძველი მეთოდით მუშაობს, ამხანაგური საუბრების ნაცვლად შემოღებულია სკოლური მეთოდი. პროპაგანდისტი მსმენელს მიმართავს, როგორც სკოლის მოწაფეს: „თქვენ გაეცით ამ დასმულ საკითხზე პასუხიო". ამხ. ტრაპაიძის წრეში 5 მსმენელი წერა-კითხვის მცირემცოდნეა. ცოცხალ საუბრებსა და ამხანაგურ დისკუსიებს ჩვენი რაიონის ზოგიერთი პროპაგანდისტი ჯერ კიდევ არ არის დაუფლებული.

საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი პარტიულ პროპაგანდას. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების პრაქტიკულად გატარებისათვის უნდა ვაწარმოოთ ყოველდღიური დაუღალავი, ბოლშევიკური მუშაობა.

ვ. კახიძე

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პროპაგანდისტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1. კონსტანტინე ამბაკოს-ძე **სულაქველიძე,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 1549941— კონტრრევოლუციური ლაყბობისათვის.
2. დავით ამირანის-ძე **გელაშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1261106 — სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.
3. მარიამ დიმიტრის-ასული **ჭაბუკიანი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0715632 — კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის.
4. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **ქურდოვანიძე,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1548061— საკოლმეურნეო ქონების განიავებისათვის.
5. ალექსი ივანეს-ძე **მისოსტოვი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 1527985 — თავისი წარსულის დაფარვისათვის.
6. გიორგი ალექსანდრეს-ძე **სანაძე,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0771401 — სოციალისტური ქონების დატაცებისათვის.
7. ალექსანდრე ანდრიას-ძე **ვასიუკინი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1927 წლიდან, პარტბილეთი № 1515037 — იმისათვის, რადგან დაჰფარა, რომ წარსულში ეკუთვნოდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას.

თბილისი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის პარტბიუროს ინიციატივით ა. წ. ივლისში ჩატარდება თეორიული კონფერენცია თემაზე: ლენინი „რა ვაკეთოთ?" სურათზე: პარტბიუროს მდივანი ამხ. მაჭავარიანი (მესამე მარცხნიდან) ესაუბრება კონფერენციის მონაწილეებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პატარა ფელეტონი

ამბების შემდგომი განვითარების მოლოდინში

როგორც გვატყობინებენ, გალის რაიონის (აფხაზეთის ასსრ) ჯანმრთელობის ფრონტზე მეტად დაძაბული მდგომარეობაა.

თუ დღემდე ურყევად შიაჩნდათ ჯანმრთელობის განყოფილების გამგის აკაკი შონიას კაბინეტის მდგომარეობა, ახლა უეჭველად სთვლიან მის დაცემას. როგორც ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, მთავარი როლი ამბების გართულებაში ჰიუძღვის აკაკის მუდმივ მრჩეველსა და განუყრელ მეუღლეს ფუცუს.

ფუცუს ზეგავლენას მიაწერენ იმ მდგომარეობას, რომ ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ აკაკი შონიამ გადაღუნა ჯოხი ცოლოურისაკენ და თითქმის მიივიწყა თავისი საგვარეულო, რის შედეგადაც ძალთა განწყობილება ჯანმრთელობის განყოფილების სისტემაში ხასიათდება დიდი დისპროპორციით ქმრისა და ცოლის ნათესავების განლაგების მხრივ.

დღეისათვის ფაქტიური მდგომარეობა ასეთია:

ფუცუ, ე. ი. კაკოს მეუღლე, მუშაობს პოლიკლინიკის ლაბორატორიაში.

ფუცუს და, ე. ი. კაკოს ცოლის და, შურა მუშაობს პოლიკლინიკის რეგისტრატორად.

ფუცუს ბიძაშვილი ვლადიმერ ქეცბაია მუშაობს გალის რაიონულ საავადმყოფოს გამგედ.

ფუცუს მამიდის ქმარი ჯორჯიკია პოლიკლინიკის დარაჯია.

ფუცუს მამიდაშვილი იულია მოწყობილია ტროპიკულ სადგურში ჰიებას ექიმად.

მაშასადამე, კაკომ ივარგა, როგორც სიძემ „თვალის სინათლემ", მაგრამ შურიანი ხალხი ქვეყანაზე არ გამოილევა.

აწუწუნებულან ობივატელები და გაიძახიან, რომ კაკომ დაივიწყა საკუთარი საგვარეულოო. მოჰყავთ სტატისტიკური ცნობები, ადარებენ ერთმანეთს ცოლქმრის სანათესაოების რესურსებს და გაიძახიან, რომ თუ სადმე სამართალია, ქმრის სანათესაოს წარმომადგენლები თუ არ უნდა სჭარბობდნენ, ყოველ შემთხვევაში უნდა უტოლდებოდნენ ცოლის ნათესავების წარმომადგენლებსო. მოითხოვენ სრული პროპორციის დამყარებას ამ ორ ძალას შორის.

ის ფაქტი, რომ კაკოს ნათესავი, ამხანაგის ცოლი სულიკო შონია მოწყობილია ლაბორატორიაში, ხოლო კაკოს მამიდაშვილი კახიანი სოფ. ოტობაის საავადმყოფოს გამგეა, სრულებითაც არ აკმაყოფილებს მოწუწუნე ადამიანებს, ისინი ცდილობენ ეს ფაქტიც გამოიყენონ შონიების საგვარეულოს ასამხედრებლად. ამაში ისინი ხედავენ თვალის ახვევის პოლიტიკას და ფუცუს მორიგ ეშმაკურ ფანდს, მიმართულს იქითკენ, რომ დააშოშმინოს ქმრის საგვარეულოში მოზღვავებული უკმაყოფილება.

შესაძლებელია, შონიების საგვარეულოში უწყინარი ხალხია და არ აჰყვნენ ობივატელების პროვოკაციას, მაგრამ მდგომარეობა, რომ რთულზე რთულია, ყოველ ეჭვს გარეშეა.

მდგომარეობას კიდევ არა უშავდა, რომ საქმეში არ ჩარეულიყო ერთი „უცხო ელემენტი"—სპეციალისტი ექიმი ს. როგავა, რომელმაც, არავინ იცის, როგორ და საიდან, გაარღვია ორივე საგვარეულოს რკალი და დამკვიდრდა გალის საავადმყოფოს ქალთა სნეულობის განყოფილებაში. მან თავისი ყურადღება გადაიტანა საავადმყოფო დაწესებულებებში გამეფებულ უსუფთაობაზე, ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობაში არსებულ მთელ რიგ არანორმალურ მოვლენებზე, ფუცუს სიტყვით რომ ვთქვათ, დაიწყო ჩხირკედელაობა აკაკი შონიას ბატონობისათვის ძირის გამოსათხრელად.

აკაკი შონიამ ამ „უცხო ფრინველის" წინააღმდეგ დაავო ხაფანგი და მიაღწია მის უვნებელყოფას, მოხსნა სამუშაოდან და პასუხისგებაში მისცა.

ცოტა წინდახედულობა რომ ჰქონოდა კაკოს, რასაკვირველია, ამას არ ჩაიდენდა.

დავუშვათ, ხვალ ცოლ-ქმრის ნათესავებს შორის კონფლიქტი იმდენად გამწვავდა რომ ერთმანეთს დაერივნენ. ვინ-ღა არის გამზავებელი? გამზავებლად მაინც გამოდგებოდა ექიმი როგავა, როგორც ნეიტრალური პირი, რომელსაც არცერთ მხარესთან ნათესაობა არ აკავშირებს.

ჩვენ არ ვიცით, საქმე რით დამთავრდება. ვიმყოფებით, ასე ვთქვათ, ამბების შემდგომი განვითარების მოლოდინში. დაწვრილებით ცნობებს მოველით საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომისაგან.

გერმან შუბიძე.

სარეწაო კოოპერაციის თბილისის აქტივის კრება

21 ივნისს თბილისში, ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში გაიმართა სარეწაო კოოპერაციის საქალაქო აქტივის კრება, მიძღვნილი უკრაინის სარეწაო კოოპერაციის სისტემასთან სოციალისტური შეჯიბრებისადმი 1939 წელს. აქტივს დაესწრო უკრაინის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დელეგაცია, რომელიც თბილისში ჩამოვიდა ოთხი დღის წინათ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოსთან სოციალისტური ხელშეკრულების დასადებად.

აქტივის კრებაზე ორი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მიზნებსა და მნიშვნელობაზე მოხსენებით გამოვიდა საქ. სარეწაო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. შავგულიძე. კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარემ და უკრაინის სარეწაო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. დ. ფარფურაკმა. უკრაინელ სტუმრებს მიესალმნენ სარეწაო არტელების მუშათა წარმომადგენლები.

შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა უკრაინისა და საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემებს შორის 1939 წლისათვის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების პროექტი, რომელიც აქტივმა მოიწონა. ამჟამად აღნიშნული ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია.

აქტივის კრებამ მისასალმებელი დეპეშებით მიმართა ამხ. კ. ჩარკვიანს, ვ. ბაქრაძეს, აგაბოვს (სარეწაო კოოპერაციის საკავშირო საბჭო) და ფილიპოვს (უკრაინის სარეწაო კოოპერაციის საბჭო).

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„სასოფლო - სამეურნეო გამოფენისათვის მზადებას მკრთალად აშუქებენ"

გაზეთ „კომუნისტის" 21 მაისის ნომერში მოთავსებული იყო მიმოხილვა — „სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საკითხებს მკრთალად აშუქებენ", რომელიც შეეხებოდა ხაშურისა და ბაღდათის რაიონული გაზეთების „ბოლშევიკური სიტყვისა" და „კოლექტიური შეტევის" მუშაობას.

აღნიშნული მიმოხილვის საფუძველზე საქ. კ. პ. (ბ) ბაღდათის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აშუქებს გაზეთი „კოლექტიური შეტევა" სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადებას. რაიკომის ბიურომ მთლიანად დაადასტურა მიმოხილვაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და მიიღო სათანადო დადგენილება გაზეთ „კოლექტიური შეტევის" ფურცლებზე სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საკითხების ღრმად და საფუძვლიანად გაშუქებისათვის.

აღნიშნული მიმოხილვა განხილულ იქნა აგრეთვე გაზ. „კოლექტიური შეტევის" რედაქციის მუშაკთა თათბირზე. თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

გ. მაჩიტაძე

ბაღდათის სარაიონო გაზეთის პ.-მგ. რედაქტორი.

ი. როდინი

დიდების ველზე

(პოლტავის ბრძოლის 230 წლისთავისათვის)

რომელმა პოლტაველმა — და განა მარტო პოლტაველმა — არ იცის „შვედების საფლავი"? რუსებისა და შვედების ისტორიული ბრძოლების ეს ძეგლი წარმოადგენს მუშების, წითელარმიელების, მოსწავლეებისა და კოლმეურნეების ექსკურსიების საყვარელ ადგილს. ძეგლი მდებარეობს პოლტავიდან 4-5 კილომეტრის დაშორებით, სწორედ იმ ადგილას, სადაც 230 წლის წინათ — 1709 წლის 27 ივნისს (ახალი სტილით 8 ივლისს) — რუსეთის მამაცმა ჯარებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს შვედ ინტერვენტებს, რომლებიც შემოიჭრნენ რუსეთის ტერიტორიაზე.

მინდვრის ნაწილი, რომელიც უშუალოდ აკრავს ქალაქს, უკვე დიდიხანია გაშენებულია. თვით „შვედების საფლავიც" გარშემორტყმულია შენობებით და იგი თითქოს ეზოში მდებარეობს. შემაღლებულ ადგილზე გრანიტის დიდი ჯვარია. იქითკენ მიიმართება ქვის ფართო კიბე. ძეგლს შემოვლებული აქვს გრანიტის დაბალი მოაჯირი სვეტებით, რომლებზედაც დადგმულია სფეროები. ძეგლის ერთ მხარეზე ამოკვეთილია წარწერა: „დაკრძალულია ბრიგადირი ფლენგეიმი, პოლკოვნიკები ნეჩაევი და ლოევი, პოდპოლკოვნიკი კოზლოვი, მაიორები: კროპოტოვი, ერნსტი და გელტი, ორმოცდა ხუთი ობერ - ოფიცერი, ათას ორას ოთხმოცდა ცამეტი კაპრალი და რიგითი ჯარისკაცი, სულ დაკრძალულია 1345". მეორე მხარეზე ამოკვეთილია სიტყვები: „ხოლო პეტრეს შესახებ იცოდეთ, რომ მას სიცოცხლე ძვირად არ უღირს, ოღონდ რუსეთი ცოცხლობდეს".

ამ გიგანტური ძმათა საფლავის თითქმის მეზობლად დგას რუხი ფერის რამდენიმე მაღალი ობელისკი. აქ ოდესღაც იყო რუსების მოწინავე რედუტები — ცალცალკე მდგომი მიწის გამაგრებული კოშკები, რომლებსაც გარსშემოვლებული ჰქონდა ღრმა თხრილები. მარცხნით მოჩანს ვარდისფერი გრანიტის ძეგლი. აქ, გადმოცემით, დამარხულია შვედი მეომრები. მონუმენტზე წარწერაა: „საუკუნო ხსენება მამაც შვედ მეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ 1709 წლის 27 ივნისის ბრძოლაში". ეს ძეგლი შვედებს რუსებმა დაუდგეს...

შორიდან მოჩანს რუხი ფერის ძელისებრი ობელისკი. ეს არის შვედების მეორე ძეგლი. და, ბოლოს ოცი კილომეტრის დაშორებით, თითქმის სოფელ დიკანკის მისავალში დგას მრავალსვეტიანი თაღი. ეს ძეგლი აგებულია პოლტავის გამარჯვების აღსანიშნავად.

...გაშლილ მინდორზე, დიდებულ მონუმენტებს — გმირული ეპოპეის უტყვ მოწმეებს შორის ნათლად წარმოგიდგებათ თვალწინ, თუ რა მოხდა იმ ისტორიულ დღეებში 230 წლის წინათ.

აი აქ დაბანაკებული იყვნენ რუსეთის ჯარები. იქ, პატარა ტყის იქით, შვედები თავს აფარებდნენ რუსების რედუტების პირველი იერიშის შემდეგ, რაც მათთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა. აქ, ამ უზარმაზარ, ამჟამად დათესილ მინდორზე მოხდა „გენერალური ბატალია".

...მიდიოდა მეცხრე წელი რუსეთსა და შვეციას შორის წარმოებული ეგრეთწოდებული ჩრდილოეთის ომისა ბალტიის ზღვის სანაპიროებზე ბატონობისათვის. რუსეთი და მისი მაშინდელი მოკავშირენი — პოლონეთი, საქსონია და უფრო ადრე — დანია, დიდიხნის განმავლობაში დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ: შვეციის არმიის სამხედრო ხელოვნება მეტად მაღალი იყო. მაგრამ შემდეგ მოხდა გარდატეხა. ისარგებლა რა დროებითი შესვენებით, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ შვეციამ თავისი ჯარების ძირითადი მასა პოლონეთში გადაიყვანა, პეტრე I-მა გარდაჰქმნა რუსეთის არმია. ჯარისკაცებს გამალებით წვრთნიდნენ სამხედრო ხელოვნებაში. შემოღებულ იქნა იარაღის ახალი სახეები.

მიაღწია რა წარმატებებს პოლონეთში, შვეციამ კვლავ დასძრა თავისი ჯარი რუსეთისაკენ. შვედები მოდიოდნენ „უძლეველთა" სახელით მოსილნი. შვეციის მეფე კარლოს XII ფიქრობდა რუსეთის საბოლოოდ დამარცხებას და აწყობდა მოსკოვის დაპყრობის გეგმებს. ამბობდნენ, რომ კარლოსმა წინასწარ ბინებიც კი გაუნაწილა მოსკოვში თავის სარდლებს....

შვედებმა დაიწყეს შეტევა მოგილიოვითა და სმოლენსკით. ამ დროს უკრაინის გეტმანი მაზეპა, რომელმაც უღალატა თავის ხალხს და უცხოელ დამპყრობთა მხარეზე გადავიდა, აშკარად შეუერთდა კარლოს XII-ს და დაარწმუნა იგი გაელაშქრა უკრაინაზე. მაზეპამ დაარწმუნა შვეციის მეფე, რომ იქ, პურის ქვეყანაში, შეიძლებოდა აუარებელი სურსათის, ფურაჟისა და მაუდის მიღება, და რომ უკრაინელი გლეხობა გულთბილად და სტუმართ მოყვარულად შეხვდებოდა „განმათავისუფლებლებს". კარლოს XII-მ მიიღო ეს წინადადება.

მაგრამ ეს ანგარიშები არ გამართლდა. უკრაინის მოსახლეობა სიძულვილით შეხვდა უცხოელ ინტერვენტთა შემოსევას. „გულთბილი სტუმართმოყვარეობის" ნაცვლად, რასაც მაზეპა ჰპირდებოდა, შვედები თავის გარშემო მხოლოდ გაბოროტებასა და მწვავე სიძულვილს ხედავდნენ. გლეხებს ეგზეკუციას ჩაუყენებდნენ ხოლმე, უკრაინის სოფლებს სწვავდნენ შვეციის გამძლელი ჯარები. შვედებმა არა თუ არავითარი დახმარება არ მიიღეს, არამედ განუწყვეტლივ ხდებოდნენ პარტიზანული თავდასხმების მსხვერპლად. ამასთან ის საომარი ხერხი, რაც გამოიყენა რუსეთის არმიამ, რომელიც ამ დროს მოვიდა თავისი უკრაინელი ძმების დასახსნელად, დამღუპველი შეიქნა შვედებისათვის. რუსები თავს არიდებდნენ გადამწყვეტ ბრძოლას. ცალკეული რაზმების მუდმივი თავდასხმები აწუხებდნენ და ჰქანცავდნენ მოწინააღმდეგეს. კარლოსის ჯარები დაიქანცნენ, დაშინდნენ. მეფის პირველი მინისტრი პიპერი სწერდა თავის ცოლს შვეციაში: „ლაშქრობა იმდენად მძიმეა, და ჩვენი მდგომარეობა ისე სავალალოა, რომ არ შეიძლება ასეთი დიდი უბედურების აღწერა, არ შეიძლება მისი დაჯერება". კარლოს XII, რომელიც მეთაურობდა ლაშქრობას, ცდილობდა საკუთარი მაგალითით აღეფრთოვანებინა ჯარები და ხშირად გაჩნდებოდა ხოლმე ყველაზე სახიფათო ადგილას, მაგრამ ეს არავითარ თანაგრძნობას არ იწვევდა ჯარისკაცებში: „იგი სიკვდილს ეძებს იმიტომ, რომ ცუდ ბოლოს მოელის", — ამბობდნენ შვედები.

ამასობაში ინტერვენტების არმია მიადგა პოლტავას, სადაც მაზეპას მტკიცებით, შეიძლებოდა განსაკუთრებით ბევრი სურსათის შოვნა. მაგრამ ქალაქის აღება არც ისეთი ადვილი საქმე აღმოჩნდა. მაშინ შვედებმა ალყა შემოარტყეს პოლტავას.

პოლტავა მაშინ ახლანდელზე ათჯერ უფრო პატარა იყო და წარმოადგენდა თხრილითა და მესერით შემოვლებულ პატარა სიმაგრეს. ამჟამად დაცულია მხოლოდ მიწისქვეშა გასასვლელები, რომლებიც პოლტაველებმა ამოთხარეს იმისათვის, რომ დროდადრო გასულიყვნენ და მტერს თავს დასხმოდნენ.

პატარა ადგილობრივი გარნიზონი და ქალაქის შეიარაღებული მცხოვრებლები მამაცად და თავდადებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის შემოტევას 87 დღის განმავლობაში.

პოლტავის მუზეუმში დაცულია საინტერესო მასალა ალყაშემორტყმულთა კრების შესახებ ეკლესიაში. რომელიღაც მოქალაქეს წამოსცდა, ცუდი არ იქნებოდა ქალაქი შვედებისათვის გადაგვეცა, თორემ ჩვენს ცოლშვილს დაღუპავა მოელისო. კაპიტულანტი აიძულეს იქვე ეკლესიაში ეთქვა აღსარება, შემდეგ გაიყვანეს ეზოში და მოჰკლეს, როგორც სამშობლოს მოღალატე.

ერთხელ, შვედების მიერ ერთიერთი უშედეგო იერიშის შემდეგ, კარლოს XII-მ პოლტავის კომენდანტს პოლკოვნიკ კელინს მედოლეს ხელით გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვდა ქალაქის დაუყოვნებლივ ჩაბარებას უბრძოლველად, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა — ყველა მცხოვრებლებს ამოვწყვეტ და პოლტავაში ქვას ქვაზე არ დავტოვებო. კელინმა უარით უპასუხა, შვედელი მედოლე მშვიდობიანად გაისტუმრა. ამის შემდეგ ქალაქიდან გავიდა რაზმი 1000 რუსი მსროლელის შემადგენლობით, რომელიც სწრაფად დაესხა თავს მოწინააღმდეგის მოწინავე ნაწილებს, ხელთ იგდო 4 ზარბაზანი და მშვიდობიანად დაბრუნდა ქალაქში.

ამავე დროს პოლტავასთან თავი მოიყარეს რუსეთის ჯარებმა, რომლებიც დაბანაკდნენ მტრის ზურგში.

27 ივნისს, გათენებისას, დაიწყო პოლტავის ისტორიული ბრძოლა. რამდენიმე საათით წინ პეტრე 1-მა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბრძოლისათვის მთელ მზადებას, შემოუარა ჯარებს და მიმართა სიტყვით: „მეომრებო! დადგა ჟამი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს სამშობლოს ბედი. თქვენ არ უნდა იფიქროთ, რომ იბრძვით პეტრესათვის, არამედ სახელმწიფოსათვის... თქვენი მოდგმისათვის, სამშობლოსათვის... თქვენ არ უნდა დაგაფიქროთ მტრის უძლეველობის სახელმა, რის სიყალბეც თქვენ არაერთხელ დაგიმტკიცებიათ თქვენი გამარჯვებებით... ხოლო პეტრეს შესახებ იცოდეთ, რომ მას სიცოცხლე ძვირად არ უღირს, ოღონდ რუსეთი ცოცხლობდეს დიდებითა და ბედნიერად თქვენი კეთილდღეობისათვის".

...ბრძოლა დაიწყო დილის 2 საათზე. ზვავივით დაიძრა შვედების ქვეითი და ცხენოსანი ჯარი. რუსეთის ჯარები მტერს გამანადგურებელი ცეცხლით შეხვდნენ. ათი რედუტიდან, რომლებიც გონებამახვილურად იყო აგებული პეტრე 1-ის მითითებით ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებით, შვედებს სეტყვასავით აყრიდნენ ყუმბარებს. შვედების არმია შედრკა. მათ ეკვეთა რუსეთის ცხენოსანი ჯარი. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ინტერვენტების ჯარებმა დაიწყეს უკანდახევა. „უძლეველმა ბატონმა შვედებმა მალე გვიჩვენეს ხერხემალი", — ნათქვამია რუსეთის არმიის ერთერთ რელაციაში პოლტავის ბრძოლის შესახებ.

კარლოს XII, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ფეხში დასჭრეს, ეტლში მჯდომარე ადევნებდა თვალს ბრძოლას. უცებ გაისმა გრიალი და მეფე მიწაზე აღმოჩნდა: ზარბაზნის ყუმბარა მოხვდა ეტლს და დაამსხვრია იგი. შვედმა ჯარისკაცებმა გადასწყვიტეს, რომ კარლოსი მოკლულია. ჯარებში გაძლიერდა არევ-დარევა. ისინი გარბოდნენ პანიკით შეპყრობილნი, გზადაგზა ჰყრიდნენ იარაღს და ეცემოდნენ ტყვიით განგმირულნი.

13 ათასმა შვედმა ჰპოვა საფლავი პოლტავის ველზე. შვედების 16-ათასიანი არმია, რუსების მიერ დევნილი, პერევოლოჩნასთან დანებდა რუსებს.

რუსეთის არმიას დიდძალი ნადავლი დარჩა.

პოლტავის ბრძოლის შესახებ არსებულ ისტორიულ ლიტერატურულ მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს ამბავი ნადიმის შესახებ, რომელიც გამართა პეტრე 1-მა მტერზე გამარჯვების გამო. შვედების მეფე ჰპირდებოდა თავის გენერლებს, რომ სადილს მოსკოვში გაუმართავდა. პეტრე 1-მა გასცა განკარგულება ყველა ტყვე ოფიცერი მოეწვიათ სუფრაზე და მათ ასეთი სიტყვებით მიმართა:

— ჩემი ძმა კარლოსი სადილად გეპატიჟებოდათ ჩემს კარვებში, მაგრამ არ შეასრულა თავისი მეფური სიტყვა. მის მაგივრად ჩვენ შევასრულებთ!

სადილის დროს პეტრემ დალია მასწავლებელთა სადღეგრძელო.

— ვინ არიან ეს მასწავლებლები? — იკითხა ერთერთმა შვედმა გენერალმა.

—თქვენ, ბატონო შვედებო!

პოლტავის ბრძოლის ბრწყინვალედ დასრულებამ საბოლოოდ გადაწყვიტა მაშინდელი რუსეთის სამხედრო ბედიღბალი. უმაგალითო სიმამაცემ და გამბედაობამ, რუსეთის არმიის დიდმა სამხედრო ხელოვნებამ აიძულა ევროპის ყველა სახელმწიფო ეღიარებინა რუსი ხალხის სამხედრო უპირატესობა. პოლტავის ბრძოლა შევიდა ისტორიაში, როგორც ერთერთი დიდებული მოვლენა.

ქ. პოლტავა.

◆

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 21 ივნისი (საკდესი). უპასუხა რა თემთა პალატაში ტიანძინის მდგომარეობის შესახებ მიცემულ შეკითხვაზე, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ტიანძინში გრძელდება ინგლისის კონცესიების ბლოკადა იაპონელთა მიერ. ოთხ ინგლისელ მოქალაქეს ტანთ გახადეს და ისე გაჩხრიკეს. მაგრამ უკანასკნელ დეპეშაში, რომელიც მიღებულია ინგლისის ტიანძინელი გენერალური კონსულისაგან, არაფერია ნათქვამი რაიმე შემდგომ ინციდენტებზე. კონცესიის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით მოიპოვება ფქვილი და ბრინჯი. სწრაფფუჭებადი პროდუქტების მიღება კვლავ არათანაბრად ხდება და ჩვეულებრივზე უფრო ნაკლებია. შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ, როგორც სჩანს, ადგილი არა ჰქონია კონცესიის ტერიტორიაზე სურსათის შეტანის არავითარ აკრძალვას. მაგრამ იაპონიის ხელისუფალნი დაჟინებით მოითხოვენ, რომ ისეთი პროდუქტები, როგორიც არის ბოსტნეული, წინასწარ იქნას გასინჯული, რაც მნიშვნელოვან დაგვიანებას იწვევს. რაც შეეხება ნაოსნობას, ამ მხრივ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და უკანასკნელ ხანს იაპონელებს გემები არ გაუჩერებიათ. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი დაგვპირდა, რომ დაიწყებს ინგლისელ მოქალაქეთადმი ცუდად მოპყრობის ყველა იმ შემთხვევის გამოძიებას, რომელთა შესახებაც კი მას ეცნობა. იაპონიის მთავრობის პოზიცია ძირითად საკითხებში კვლავ ბუნდოვანია და ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადაწყვეტილება—ეს საკითხები ტოკიოში იქნება განხილული თუ ტიანძინში, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დღეს ან ხვალ რაიმე ახალს მოვისმენთ ამ საკითხზე.

გერმანიის კონსულის გაწვევა ლივერპულიდან

ლონდონი, 21 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ გერმანიის კონსულმა ლივერპულში ბერლინიდან ბრძანება მიიღო გერმანიაში დაბრუნების შესახებ. როგორც ცნობილია, პრემიერმა ჩემბერლენმა თავის 14 ივნისის პასუხში თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა მიუძღვის გერმანიის კონსულს ლივერპულში რაინჰარდტს გერმანიის ჯაშუშის ირლანდიელი ჯოზეფ კელის საქმეში, განაცხადა, რომ სასამართლო კვლევა-ძიების მასალათა მიხედვით კონსულს მონაწილეობა მიუძღოდა შპიონაჟში და ინგლისის მთავრობამ მოსთხოვა გერმანიის მთავრობას გაეწვია რაინჰარდტი ინგლისიდან.

○

ლონდონი, 21 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ პასუხად ინგლისის მთავრობის მოთხოვნისა—გაიწვიოს ლივერპულიდან კონსული რეინჰარდტი, როგორც კონტრღონისძიება მოითხოვა ინგლისის გენერალური კონსულის გაწვევა ვენიდან.

გერმანელ ფაშისტთა საქმიანობა დანციგში

პარიზი, 21 ივნისი (საკდესი). დანციგიდან მიღებული ცნობებით, გერმანიის პროპაგანდის მინისტრის ჰებელსის მიერ სიტყვის წარმოთქმისთანავე დანციგში იქაურ ფაშისტთა ხელმძღვანელის ფორსტერის თავმჯდომარეობით შესდგა აღმოსავლეთ პრუსიის „სა“-ს რაზმებისა (მოიერიშეები) და „სს“-ის (მცველი რაზმები) უფროსთა კონფერენცია. თათბირზე განხილულ იქნა ჰიმლერის (გესტაპოს უფროსი) უკანასკნელი დირექტივების შესრულების საშუალებათა საკითხი. დანციგში კვლავ ჰგზავნიან მოიერიშე რაზმებისა და პოლიციის სპეციალურ ჯგუფებს „ინცინდენტების“ მოსაწყობად და „აუცილებელი ფსიქოლოგიური დაძაბულობის“ შესაქმნელად.

იუწყებიან, რომ მოიერიშეებს მიეცათ ინსტრუქციები შექმნან პროვოკატორთა და ტერორისტთა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც პოლონეთის ტერიტორიაზე თავს უნდა დაესხან პოლონეთის გერმანელებს, რათა ამგვარად შექმნან საბაბი გერმანიის ჩარევისათვის.

გერმანიის საომარი მზადება პოლონეთის საზღვარზე

ლონდონი, 21 ივნისი (საკდესი). ინგლისის გაზეთები ყურადღებას აქცევენ გერმანიის გაძლიერებულ სამხედრო მზადებას პოლონეთის საზღვარზე. გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში და აგრეთვე სხვა ადგილებში, სადაც გერმანიას საერთო საზღვარი აქვს პოლონეთთან, გაძლიერებული მუშაობა მიმდინარეობს ამ საზღვრების გასამაგრებლად. უნდა ვიფიქროთ, — სწერს კორესპონდენტი, — რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში 45 მილი სიგანის და 300 მილი სიგრძის სასაზღვრო ზოლი ბალტიის ზღვიდან იმ პუნქტამდე, რომელიც ბრესლავლიდან 25 მილით არის დაშორებული სამხრეთისაკენ, მნიშვნელოვნად იქნა გამაგრებული.

გერმანია ზომებს იღებს აგრეთვე საფრანგეთ - გერმანიის საზღვრების გასამაგრებლად. გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ მეცელი (საფრანგეთ-გერმანიის საზღვრის მახლობლად) სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის გენერალურმა შტაბმა მნიშვნელოვანი ძალები გაჰგზავნა ზიგფრიდის ხაზისაკენ. 15 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცია თავმოყრილი ამჟამად ტრირის, კაიზერსლაუტერნის და კელის მახლობლად. სიმაგრეთა პირველი ხაზისაკენ დამატებით გაგზავნილია 50-60 ათასამდე კაცი, ხოლო მეორე ხაზისაკენ 30-40 ათასი კაცი.

იაპონელები ინგლისის გემებს აჩერებენ

ლონდონი, 21 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, იაპონიის სამხედრო გემები სვატოუს ნავსადგურში მიმავალ ინგლისის ყველა გემს აჩერებენო.

ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „ტანეტი“ და ამერიკის ნაღმოსანი „პილსბეგი“ ამჟამად სვატოუსთან იმყოფებიან ინგლისისა და ამერიკის რეზიდენტების დასაცავად.

იაპონიის სოფლის სიღატაკე. **სურათზე:** იაპონელი გლეხები ჩალის ტანსაცმელით მუშაობენ ბრინჯის მინდვრებზე.

საკდესის ფოტოქრონიკა

სლოვაკიის ჯარის ანტიგერმანული დემონსტრაცია

როგორც ჩეხის ემიგრანტთა გაზეთი „ჩესკოსლოვენსკე ზპრავი“ იუწყება, ამ დღეებში ქალაქ რუჟომბეროკში (სლოვაკია) ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცთა ანტიგერმანული დემონსტრაცია მოხდა. რუჟომბეროკის გარნიზონის ჯარისკაცთა კრებაზე გამოვიდნენ ორატორები, რომლებიც ილაშქრებდნენ ჩეხოსლოვაკიაში გერმანიის ფაშისტთა ბატონობის წინააღმდეგ და აცხადებდნენ შემდეგ ლოზუნგებს: „გაუმარჯოს თავისუფალ ჩეხოსლოვაკიას!“, „დაე, სცოცხლობდეს დემოკრატიული სლოვაკია!“. დემონსტრანტებმა შეასრულეს სლოვაკიის ჰიმნი და სხვა ნაციონალური სიმღერები. ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით რუჟომბეროკში მახლობელი ქალაქიდან „გლინკას გვარდიის“ ნაწილები გამოითხოვეს წესრიგის დასამყარებლად. „გვარდიელთა“ ჩამოსულ მოტორიზებულ ნაწილებს სლოვაკელი ჯარისკაცები შეხვდნენ შეძახილებით: „გაუმარჯოს თავისუფალ ჩეხოსლოვაკიას, თავისუფალ ევროპაში!“ და სხვ. დასაწყნარებლად ჩამოსულები დემონსტრანტებს შეუერთდნენ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სლოვაკი ჯარისკაცების ანტიგერმანული დემონსტრაციის ფაქტმა დიდი შეშფოთება გამოიწვია სლოვაკიის მმართველ წრეებში. რუჟომბეროკში სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

21 ივნისი.

ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვა

ვაშინგტონი, (საკდესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბარში პრეზიდენტმა რუზველტმა განაცხადა, სასურველია ნეიტრალიტეტის კანონი კონგრესმა გადასინჯოს მის საარდადეგოდ დათხოვნამდეო. შემდეგ რუზველტმა განაცხადა, მე მხარს ვუჭერ კანონპროექტს ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვის შესახებო (კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს მეომარ ქვეყნებში იარაღის შეზიდვის ემბარგოს (აკრძალვა) გაუქმებას და რომელიც მოქმედების დიდ თავისუფლებას ანიჭებს პრეზიდენტს ამ საკითხში).

გაზეთი „ბალტიმორ სენი“ სწერს, რომ ტიანძინის ამბებმა გააძლიერეს რუზველტის მისწრაფება—რაც შეიძლება მალე გაუქმდეს შეზღუდვანი ნეიტრალიტეტის შესახებ არსებულ კანონში. ეს შეზღუდვანი იმაში მდგომარეობს, რომ პრეზიდენტი იძულებულია ერთნაირად დაადოს ემბარგო სამხედრო საჭურველის გაზიდვას ორივე მეომარ ქვეყანაში ყოველგვარი ომის დროს. ევროპასა და აზიაში მომხდარი ამბები, სწერს შემდეგ გაზეთი, შესაძლოა, რომ მალე აიძულებენ რუზველტს აღიაროს ომის არსებობა, ამიტომ მას სურს რაც შეიძლება მალე გადასინჯოს კანონი იმ ანგარიშით, რომ გააუქმოს იარაღის გაზიდვის ემბარგო. ფიქრობენ, რომ წარმომადგენელთა პალატა კანონპროექტს მოიწონებს. მაგრამ იზოლაციონისტი სენატორები კანონპროექტს ობსტრუქციით ემუქრებიან. პროფაშისტური და იზოლაციონისტური ჯგუფები და ფაშისტური აგრესიის აშკარა მომხრენი აგიტაციას ეწევიან იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ კანონპროექტის მიღებას სენატში.

მოკლე ცნობები

⊙ კრაკოვის საოლქო სამხედრო სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა რეზერვის არტილერისტს ალფონს კიტცინგერს გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშური მოქმედებისათვის.

⊙ გაზეთ „ტაიმსის“ ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კანტონის მახლობლად იაპონელთა ავტოკოლონაზე ჩინელი პარტიზანების თავდასხმისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით იაპონელებმა მასობრივი დაპატიმრება მოახდინეს იმ ჩინელ გლეხებს შორის, რომლებიც კანტონის მიდამოებში ცხოვრობენ. როგორც გაზეთი აღნიშნავს, კანტონში უკანასკნელ დღეებში იაპონელთა 142 ჩინელი დახვრიტეს.

⊙ ჩუნცინიდან მიღებული ცნობის მიხედვით, ცენტრალურ უნივერსიტეტთან დაიხურა ორდღიანი გამოფენა „სსრ კავშირის ცხოვრება“, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა. ორი დღის განმავლობაში იგი 5 ათასზე მეტმა სტუდენტმა და მუშამ ინახულა.

⊙ ვენესუელასა და ურაგვაის მთავრობები შეთანხმდნენ მხარი დაუჭირონ ჩილის მთავრობის მოთხოვნას გენერალ ფრანკოსადმი რესპუბლიკელ ლტოლვილთათვის ჩილის მადრიდის საელჩოს შენობაში თავშესაფარის უფლების აღიარების შესახებ.

ნორჩი მუსიკოსები

თბილისის კონსერვატორია საქართველოში ერთადერთი უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელია, რომელიც ამზადებს კვალიფიციურ მუსიკოსებს. მისი ნაყოფიერი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული იმ ნიჭიერ ახალგაზრდა მუსიკოსთა კადრებზე, რომელსაც უმზადებენ მას მუსიკალური სასწავლებლები. მაგრამ ამ სასწავლებლის მოწაფეები ერთგვარ დაბრკოლებას აწყდებიან იმ მხრივ, რომ მათ პარალელურად უხდებათ მეცადინეობა მუსიკალურ სასწავლებელში—ცალკე და საერთო განათლების სასწავლებლებში—ცალკე, რაც დიდად აძნელებს მათ მუშაობას და გავლენას ახდენს აკადემიურ წარმატებებზე.

ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად მიმდინარე წლის დასაწყისში თბილისის კონსერვატორიასთან ჩამოყალიბდა სრული საშუალო მუსიკალური სკოლა—ათწლედი, რომელიც ერთად ათავსებს როგორც დაწყებით-საშუალო მუსიკალურ, ისე საერთო განათლების მიღებას.

17 ივნისს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულ მოწაფეთა აქტი. ამ დღეს ნორჩი შემსრულებლები სერიოზული და მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდნენ. ნორჩმა მუსიკოსებმა ამ კონცერტით დაამტკიცეს, რომ მათ მოეპოვებათ საკმაო მუსიკალობა, ბრწყინვალე საესტრადო ნიჭი და სამუსიკო ტექნიკის დაუფლება. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელთა ასაკი 15-16 წელს არ სცილდება, მათ შესრულებას ემჩნევა სერიოზულობა, მუსიკალობა და ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის შეგრძნობის უნარი. ნორჩი მუსიკოსები საკმაოდ შეიგრძნობენ მუსიკალურ ფრაზას და გემოვნებითაც აღჭურვილნი არიან.

შემსრულებელთაგან აღსანიშნავია ნორჩი ვიოლინისტი ლ. კულიცკაია (დოც. ლ. ნ. შიუკაშვილის კლასი), რომელმაც შეასრულა ბახის — ალემანდა II სონატიდან, რისის პერპეტუმ-მობილე და დაამტკიცა თავისი უტყუარი ნიჭი. ასევე კარგად შეასრულა დ. რეიზნერმა (დოც. ლ. ნ. შიუკაშვილის კლასი) ბახ-ლურეს VI სონატა და მენდელსონის კონცერტის პირველი ნაწილი. ახალგაზრდა პიანისტმა ე. ლაზარევამ (პროფ. ა. დ. ვირსალაძის კლასი) დიდი წარმატებით შეასრულა ბეთჰოვენის VIII სონატის I ნაწილი, მაშკოვსკის ეტიუდი და შუმანი-პაგანინის „კაპრისი“. საინტერესო იყო ახალგაზრდა ვიოლინისტი გ. ცხომელიძე (პროფ. მ. რ. ლედნიკის კლასი), რომელმაც ჩინებულად შეასრულა ფრანკერ-კრეისლერის სიცილიანა, რიგოდონი და ლალო—ესპანიური სიმფონია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა და წარმოადგენდა ჩვენი მუსიკალური ახალგაზრდობის ბრწყინვალე მიღწევათა დემონსტრაციას.

უნდა შევნიშნოთ, რომ სასწავლებელი ბინის მხრივ დიდ სივიწროვეს განიცდის, იგი 2-3 ოთახშია მოთავსებული, რაც არ იძლევა ნორმალური მეცადინეობის საშუალებას. ხელოვნების სამმართველომ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს, სასწავლებელი უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაფერისი ბინით.

გ. ბადრიძე

აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი გამოფენა

საქართველოს კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში აკაკი წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავად ეწყობა დიდი სალიტერატურო გამოფენა.

გამოფენაზე, რომელიც ნათლად ასახავს დიდი ქართველი მგოსნის ცხოვრებასა და შემოქმედებას, წარმოდგენილი იქნება მასალები მგოსნის შემოქმედების შესახებ, ბიოგრაფიული მასალები, აკაკის ხელნაწერები და პირადი მიწერ-მოწერა, ფოტოსურათები და მთელი ის ნაწარმოებები, რაც აკაკის კალამს ეკუთვნის.

გამოფენა ეწყობა ქართულ და რუსულ ენებზე და გაიხსნება ამ დღეებში.

„დიადი წარსული“

ამხანაგ ლ. ბერიას შესანიშნავი ნაშრომის „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ საფუძველზე ორდენოსანმა მწერალმა დემნა შენგელაიამ დასწერა სცენარი „დიადი წარსული“. ეს სცენარი გვაცნობს ამიერ-კავკასიის პირველი ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლების—ალექსანდრე წულუკიძისა და ლადო კეცხოველის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს, მოგვითხრობს თუ როგორ ებრძოდნენ ბოლშევიკები ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკებს.

საქკინოქრონიკა ამ სცენარით იწყებს დოკუმენტური კინონარკვევის გადაღებას. ნარკვევისათვის ცალკეულ სიუჟეტებს გადაიღებენ თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურასა და გორში. (საქდესი).

საჭადრაკო ტურნირი წყალტუბოს კურორტზე

მკერავთა კავშირის ლენინგრადის საოლქო საბჭოს ჭადრაკის დარგში ინსტრუქტორის ამხ. ე. ა. მელნიკოვას ინიციატივით ეს მეორე წელიწადია, რაც წყალტუბოს კურორტზე ტარდება საჭადრაკო-საკვალიფიკაციო ტურნირები, რომელშიც მონაწილეობენ კურორტზე სამკურნალოდ ჩასული ავადმყოფები. ეს ტურნირები დიდი ინტერესით ტარდება და ხალხსაც მრავლად იზიდავს. წელს, მაგალითად, იგი დამთავრდა 13 ივნისს. ტურნირში პირველი ადგილი დაიჭირა ლენინგრადელმა ამხ. ბელოვმა, ხოლო მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ადგილები გაიყვეს სოხუმელმა ამხ. პელანგიამ, გროზნოს ნავთის ქარხნის ზეინკალმა ამხ. ლავრინენკომ და კიეველმა გრაბოვსკიმ. ყველა გამარჯვებული მიიღებს მე-5 კატეგორიის მოჭადრაკის ხარისხს.

ეს ინიციატივა უსათუოდ მისასალმებელია და ღირსია იმის, რომ სხვა ჩვენმა კურორტებმაც მიჰბაძონ წყალტუბოს მაგალითს.

სურათზე: ჭადრაკს თამაშობენ (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. ბ. ტოტროვი (მურმანსკი), ნ. ლავრინენკო (გროზნო), ფ. ბელოვი (ლენინგრადი), პელანგია (სოხუმი), დგას ამხ. ე. ა. მელნიკოვა.

მსახიობ გრ. ავეტიანის იუბილე

სომხეთის სახალხო არტისტს გრიგოლ ავეტიანს სცენაზე მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. პირველად მან თამაში დაიწყო 1888 წელს. იგი არ დააკმაყოფილა მაშინდელი სომხური თეატრის (საფრაზიანის ხელმძღვანელობით) ცრუკლასიკურმა მიმართულებამ. ავეტიანმა დასტოვა სცენა და მოსკოვს მიაშურა სასწავლებლად. მცირე თეატრის და კორშის თეატრის შესრულებით მოხიბლულმა ავეტიანმა სამშობლოში დაბრუნებისას დააარსა რეალისტური თეატრი. იმ დღიდან იგი სცენას არ მოსცილებია. მრავალგზის შემოიარა თავისი თეატრით კავკასიის და რუსეთის ქალაქები.

50 წლის განმავლობაში ავეტიანმა შესანიშნავი სცენიური სახეები შექმნა. განსაკუთრებით გაშალა ფრთები მისმა ნიჭმა საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა გაიფურჩქნა საბჭოთა ხელოვნება.

გრ. ავეტიანის მოღვაწეობა სათანადოდ დააფასა სომეხმა ხალხმა. 1927 წელს მას მიენიჭა დამსახურებული არტისტის წოდება, 1932 წელს მთავრობამ იგი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1935 წელს მას მიენიჭა სახალხო არტისტის სახელწოდება.

23 ივნისს ერევანში გრ. ავეტიანს გადაუხდიან სასცენო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეს.

კონკურსი მ. ი. ლერმონტოვის ნაწარმოებთა საუკეთესოდ შესრულებაზე

ოქტომბერში 125 წელი შესრულდება მ. ი. ლერმონტოვის დაბადების დღიდან. სრულიად - საკავშირო თეატრალური საზოგადოება კონკურსს აწყობს დიდი რუსი პოეტის ნაწარმოებთა საუკეთესოდ შესრულებაზე.

კონკურსი 20 სექტემბერს დაიწყება. საუკეთესო შემსრულებელნი 5 ჯილდოს მიიღებენ. კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ი. კაჩალოვი. (საკდესი).

მსახიობთა ლაშქრობა

23 ივნისს ხელოვნების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აწყობს ლაშქრობას მარშრუტით თბილისი—გორი. ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ მოზარდ მაყურებელთა თბილისის ქართული სახელმწიფო თეატრის მსახიობები და მუშა-მოსამსახურეები.

გადასვლის კომანდორად დანიშნულია მსახიობი ყიასაშვილი, პოლიტხელმძღვანელად—მიქაშავიძე.

გადასვლის მონაწილენი გორში დაათვალიერებენ ბელადის სახლს.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

23 ივნისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში — ამხ. ფრიშენბერგის ლექცია თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1549969, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ანა ზაქარიასასულ გიორგაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

შემთხვევები

ავარიები. სწრაფი და გაუფრთხილებელი სვლის შედეგად, თბილისიდან 13 კილომეტრის დაშორებით, ყარაიას გზატკეცილზე, გადაბრუნდა სატვირთო ავტომანქანა № 72-45, რომელსაც მართავდა შოფერის თანაშემწე შ. პაპინაშვილი. ავარიის დროს მძიმედ დაშავდა მოქ. ნ. შიოშვილი, რომელიც გაიგზავნა ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში. 3 მგზავრი მსუბუქად დაშავდა. პაპინაშვილი დაპატიმრებულია.

ლენინის ქუჩაზე, აბრეშუმის ფაბრიკის მახლობლად, სატვირთო ავტომანქანა № 69-04, რომელსაც მართავდა შოფერი ა. ს. სროიანი, დაეჯახა ბოძს. დაჯახებისას დაშავდნენ მოქალაქენი პ. ა. პოლოიანი (გრიბოედოვის ქ. № 6) და ა. ს. ხოლოჩანი (გერცენის ქ. № 4). დაშავებულნი მოათავსეს კამოს სახელობის საავადმყოფოში. შოფერი სროიანი მიცემულია პასუხისგებაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-18-50

საზაფხულო თეატრი
23, 24, 25 ივნისს მუდმივი ადგილების ტალონები № 26, 27, 28
წითელფლოტელთა ანსამბლის გასტროლები, შავი ზღვის ფლოტის სიმღერები და ცეკვები. მონაწილეობს 40 კაცი.
სამხატვრო ხელმძღვანელი ს. პ. კუზნეცოვი. დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

ღია ესტრადა
23 ივნისი
მოსკოვის აისედორა დუნკანის სახელობის სტუდიის სოლისტი ქალების
გასტროლები
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლებში მიღების პირობები

პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებელი ამზადებს: კულტურის სახლებისა და სარაიონო კლუბების მუშაკებს, დანარჩენ საკლუბო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საბიბლიოთეკო დაწესებულებათა გამგეებს და ბიბლიოთეკარებს; სასწავლებელი იძლევა საშუალო განათლებას; სწავლების ხანგრძლივობა—3 წ.

პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებელს აქვს ორი განყოფილება:
ა) საკლუბო.
ბ) საბიბლიოთეკო.

1. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15 წლიდან 30 წლამდე, რომლებსაც აქვთ საერთო განათლება არა ნაკლებ არასრული საშუალო სკოლისა.

2. სასწავლებელში შესვლის მსურველმა სასწავლებლის დირექტორს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:
ა) განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ.
ბ) დაბადების მოწმობა.
გ) ავტობიოგრაფია. რომელიც დადასტურებული უნდა იყოს სათანადო ორგანოების მიერ.
დ) განათლების მოწმობა (დედანი).
ე) ჯანმრთელობის მოწმობა.
ვ) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.
ზ) ორი ცალი ფოტოსურათი შემსვლელის ხელმოწერით და სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ დამოწმებული.

განცხადებათა მიღება სწარმოებს 15 ივნისიდან 20 აგვისტომდე.

3. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებელში შემსვლელნი გაივლიან გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი); რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), არითმეტიკასა და ალგებრაში (წერა და ზეპირი), გეოგრაფიასა და პოლიტცოდნაში.

გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან.

შენიშვნა: ა/ს საშუალო სკოლადამთავრებულნი, რომლებსაც ზემოხსენებულ საგნებში აქვთ შეფასება „ფრიადი“, სასწავლებელში მიიღებიან უგამოცდოდ.

4. იმ პირებმა, რომელთაც პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მე-2 კლასში შესვლა სურთ, უნდა ჩააბარონ გამოცდა წინა კლასის ყველა საგანში.

5. სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა მიენიჭება იმ პირებს, რომლებსაც აქვთ პ/გ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება და გამოცდებზე მიიღებენ უკეთეს ნიშნებს.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიით საერთო წესით.

პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მისამართები:
ქ. თბილისი—ჩიტაძის ქ. № 9.
ქ. ბათუმი—ჯაფარიძის ქ. № 1.
ქ. ქუთაისი—1905 წ. რევოლუციის ქ. № 2.

საქ. სსრ განსახკომის საკლუბო სამმართველო.

1065

თბილისის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის

რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1939/1940 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:
1. მოძრაობა და სატვირთო მუშაობა (ქართული და რუსული სექტორები).
2. სცბ – სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია, ბლოკირება (ქართული და რუსული სექტორები).

სწავლის კურსი 4-წლიანია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა ან საშუალო სკოლის 7 კლასი.

ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა ან საშუალო სკოლის 7 კლასი და ძირითად საგნებში მიღებული აქვთ ნიშანი „ფრიად“, ხოლო დანარჩენ საგნებში (ხატვა, სიმღერა, ფიზკულტურა) ნიშანი არანაკლებ „კარგისა“, ტექნიკუმში (1-ლ კურსზე) მიიღებიან უგამოცდოდ.

ყველა დანარჩენნი გაივლიან გამოცდას შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის ხალხთა ისტორია და სსრ კავშირის კონსტიტუცია, მათემატიკა (ზეპირი და წერითი), ფიზიკა, რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი და წერითი).

ის პირები, რომლებიც შედიან ქართული სექტორის 1-ლ კურსზე, გაივლიან დამატებით გამოცდას ქართულ ენაშიც (ზეპირი და წერითი).

შემოსვლის მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები დედნებად:
ა) ავტობიოგრაფია,
ბ) მოწმობა დაბადების შესახებ,
გ) პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად),
დ) მოწმობა განათლების შესახებ,
ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ,
ვ) სამი დამოწმებული ფოტოსურათი,
ზ) ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ხაზიდან ჩამოსული პირები გამოცდების დროს და ტექნიკუმში ჩარიცხვის შემდეგ უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სტიპენდიები საერთო საფუძველზე.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი მიიღებენ სათანადო სპეციალობის ტექნიკოსის სახელწოდებას და უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი რკინიგზაზე.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის კანცელარიაში: ქალ. თბილისი, ნინოშვილის ქ. № 13, 10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები 13 აგვისტოდან 23 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1-ლ სექტემბერს.

642 **დირექცია**

საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ა. წ. 24 ივნისს დღის 12 საათზე ინსტიტუტის კლუბის შენობაში (სასწავლო შესახვევი № 2/4)

დანიშნულია ღია კარის დღე

დღის წესრიგი:

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი და მისი სპეციალობანი (მომხსენებელი: დირექტორის მოადგილე სამეცნიერო - სასწავლო ნაწილში დოც. **ი. მ. ხუხუნაიშვილი).**

მოხსენების შემდეგ ინსტიტუტის კაბინეტების, ლაბორატორიისა და გამოფენის დათვალიერება.

მოწვეულია ყველა, ვინც ახლა დაამთავრა ქ. თბილისის საშუალო სკოლები.

653 2—2 **ინსტიტუტის დირექცია.**

ექიმ **ნ. ბ. კანტოროვიჩის**
თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის
კ ა ბ ი ნ ე ტ ი
ელბაქიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 12-დან 4 ს-მდე

მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვივნის, თებოს მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების, ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა. 3—3 1768

დამწუხრებული შვილები: ლეონიდე, ლიდა, რძალი ნინო, სიძე იპოლიტე, შვილიშვილები ლენა, ბორია იუწყებიან საყვარელ
მარიამ ნიკოლოზის-ასულ ИМНАძИС
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23 ივნისს საღ. 7 ½ საათზე, ნასაკირალის ქ. 3. დაკრძალვა 24 ივნისს საღ. 5 საათზე.

მეუღლე ცაბუა, შვილები ფეფიკო, თინა, დათიკო, ძმა ლადიკო ოჯახით, და ვასასი ქმრით, ბიცოლა ცუცუნა ოჯახით იუწყებიან, რომ 24/VI, ს. საქარაში დანიშნულია
ივანე დავითის-ძე საყვარელიძის
სამოქ. პანაშვიდი. 2263

დამწუხრებული მშობლები ცაცა, სევერიანე, და ივეტა, ბებია ნინუცა, ბიძა მიშა, ბიცოლა თამარ იუწყებიან საყვარელ პატარა
სერგო (პუჭკუნი) მოლისრაფიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება კალანდაძის, 4. დაკრძალვა 24/VI, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2264

ნანა დევაძე, ანანია მეავანაძე, ცუცა არჯევანიძე, გიგოლა თალაკვაძე ულრმესი მწუხარებით იუწყებიან გულითადი მეგობრის ქეთო ანანიაშვილის ძმის
გოგის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 ივნისს.

მეგობრები: კანდელაკი, ახვლედიანი, გამრეკელი, წიგნაძე, რუსია, ქარუმიძე, ბაქრაძე, ბზიავა, ვოიცეხოვსკი, სიხარულიძე, კოტრიკაძე, მუსხელიშვილი, კარტოზია, მურმანიშვილი, ბეჟანიშვილი, ჯიქიძე, ქართველიშვილი იუწყებიან ელ. ნიკურაძის ძმის
ლადოს
გარდაცვალებას. 2249

უახლოესი მეგობრები ნინო და გრიშა კილაძეები, მარო და ირაკლი კანდელაკები მწუხარებას გამოსთქვამენ კატო გიგოშვილის ძმის
გოგი ანანიაშვილის
გარდაცვალების გამო. 2251

სრულიად-საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი იუწყება ამავე ფილიალის დირექტორის დავით მირიანაშვილის ძმის
შალვა ესტატეს-ძე მირიანაშვილის
გარდაცვალებას. 2250

კინოფიკაციის თბილისის ტრესტის დირექცია თანამშრომლებით იზიარებენ თბილისის კინოსტუდიის დირექტორ ამხ. არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილის მწუხარებას მისი ცოლისძმის
გიორგი ევსევის-ძე ანანიაშვილის
გარდაცვალების გამო. 100

ბიცოლა ბაბი მირიანაშვილი შვილებით, მამიდები ანიკო კიკნაძე ქმარშვილით, ლიზა მიქელაძე შვილებით და ვარო ელიზბარაშვილი ქმარშვილით იუწყებიან მათთვის საყვარელ
შალიკო მირიანაშვილის
გარდაცვალებას. 2257

დედა ანეტა, და ლუბა, ძმა კაკო, დეიდა პაჭუ კარკალაია იუწყებიან, რომ 24/VI, ქ. ლანჩხუთში დანიშნულია საყვარელ
გოგუცა ცინცაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2258

დამწუხრებული მეუღლე ნინო შვილებით გურიკოთი და თეიმურაზით იუწყება საყვარელ
ვლადიმერ (ლადო) ეგნატეს-ძე ნიკურაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში 24/VI, კიროვის, 92. 2259

მშობლები სპირიდონ, მაშო, მეუღლე ბაბუცა, შვილები შოთა, გუგული, ლილი, ძმა თეოფანე ჭუბაბრიებები, ცოლისძმები გრიშა, პართენ, კოლია ქაჯაიები იუწყებიან, რომ 24/VI, ს. კოტიანეთში დანიშნულია
აპოლონ ჭუბაბრიას
პანაშვიდი. 2255

მეუღლე ალექსანდრა, შვილი მარგალიტა, სიძე კოლია ნიჟარაძე შვილებით მედიკოთი და ნანათი იუწყებიან
ალექსანდრე (ტიტიკო) მიხეილის-ძე მატარაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/VI, 5 ს. პანასკეიჩის, 21. 2256

მე-82 სკოლის კოლექტივი მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებელ თამარ მერცხულავას მამის
ავქსენტი მერცხულავას
გარდაცვალების გამო. 2260

დამწუხრებული მეუღლე მარკოზ შვილებით რუსუდანით და თინიკოთი იუწყება დაუვიწყარ
კატუშა (ქუქუ) ჟვანია-ანთიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/VI, 7 ს. ძნელაძის, 38. დაკრძალვა 24/VI, 5 ს. ვაკის სასაფლაოზე. 2261

ინაური, ილურიძე, ლაცაბიძე, გაფრინდაშვილი, ოსეფაშვილი, ბაბუნაშვილი, მარტიროსიანი, რუსიშვილი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის ინუ.
გოგი ანანიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 23/VI, გმირთა მოედანი (ახალი სახლი). 2262

დამწუხრებული ცოლი სერაფიმა (საფინია), შვილები შოთა, თალიკო იუწყებიან, რომ 24/VI, 7 ს. ქუთაისში დანიშნულია ძვირფას
ანდრო (ჩიტო) სპირიდონის-ძე ლვინეფაძის
სამოქ. პანაშვიდი. 2270

დამწუხრებული მეუღლე ექიმი ვიქტორ ჯაფარიძე, შვილები ოთარ, რუსუდან და ბეჟიკო იუწყებიან, რომ 24/VI, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
მარიამ მელქისედეკის-ასულ ჯაფარიძის
სამოქ. პანაშვიდი. 2271

ფოცხიშვილი, ცარახოვი, მარიახინი, შნეიდერი, ახალშენიშვილი, გორდელაძე, ჩაჩანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ინჟინერ
ვლადიმერ ეგნატეს-ძე ნიკურაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში 24/VI, კიროვის, 92. 2272

სტუდქალაქის ფაბრიკა-სამზარეულოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის ეორა ჟვანიას დის
კატუშა ანთაძის
გარდაცვალებას. 2268

ცოლი თამარ მირიანაშვილი, შვილი ელენე ქმრით გურამ ყიფიანით იუწყებიან საყვარელ
შალვა ესტატეს-ძე მირიანაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/VI, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე. გამოსვენება ანანურის შესახვევი, 6. 2265

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული—682